# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 8 მაისი 2003 №82 (1853) ფასი 50 თეთრი


თავისუფალი მასმედიის შენარჩუნება ქართული დემოკრატიის გადარჩენაა!
საქართველოს გამომცემელთა და მაუწყებელთა ასოციაცია „თავისუფალი პრესა“

# მოსალოდნელი 0:0 სან ზიროზე



კახა კალაძეს არც დაცვა დაეწუნებოდა და არც შეტევა




მილანურ დერბიში არც თავს ზოგავენ და არც მეტოქეს

# ლონი იონას და ტორპედოს გოლკიპერი ფინალშია!



ზურაბ იონანიძემ „სიონის“ კარს და ფინალს ააცილა

# დავით ყიფიანის თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები



გაგიკო ქართლელის ფოტო

# მშრალი სენსაცია

## სიონმა ნაწვიმარ ქუთაისში კარიც მშრალად შეინახა და ტორპედოც მშრალზე დასვა

**კახა შალამბერიძე ქუთაისიდან**

**არც** ქვის სროლა ყოფილა და არც სხვა თვალშისაცემი ექსცესი. არადა, რატომღაც მშვიდად მყოფი ქუთაისელი ქომაგისთვის ყველაზე ცუდი რამ მოხდა — „ტორპედომ" ვერ მოიგო და დავით ყიფიანის სახელობის თასის მეცამეტე გათამაშების ნახევარფინალში ჩარჩა.

რიონისპირელთა გადაულახავი ბარიერი ბოლნისის „სიონი" გამოდგა. ამ სეზონში „ტორპედო" და „სიონი" რიგრიგობით უშლიან ერთმანეთს ნერვებს. გუშინდლამდე ამ გუნდების საამსეზონო ოთხ შეხვედრაში ქვეყნის სამგზის ჩემპიონებმა ორჯერ გაიხარეს, ორჯერაც მეტოქეს დანებდნენ. აქედან ერთი მარცხი სწორედ თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში იყო.

იმის დავიწყებაც არ ეგების, „სიონი" — „ტორპედოს" საჩემპიონატო პირველი ეტაპის ბოლო ტურის დაპირისპირებას მოგვიანებით რა სკანდალური გაგრძელებაც მოჰყვა — ქვემოქართლური კლუბიდან რამდენიმე ფეხბურთელი დაითხოვეს. თუმც „სიონი" რომ ამით არ დასუსტებულა, გუშინაც გამოჩნდა.

იმ სკანდალური მატჩის ერთ-ერთი მთავარი გმირი თუ ანტიგმირი, გრიგოლ ჭანტურია კი გუშინ „ტორპედოს" ვერ დაეხმარა. „სიონთან" მატჩამდე ბოლო ვარჯიშზე ქუთათურთა მეკარემ მუხლი დაიშავა და მისი ადგილი ზვიად სტურუამ დაიკავა.

გმირი თუ ანტიგმირი „ტორპედოს" კიდევ ჰყავს — ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი ზურაბ იონანიძე. სწორედ მას შეეძლო, „სიონის" ფინალისტობისთვის კითხვის ნიშანი დაესვა, მაგრამ მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა. მთელი მატჩის განმავლობაში აქტიური და მასპინძელთა სული და გული ასეთ იმედგაცრუებას ნამდვილად არ იმსახურებდა.

რიონისპირელებს სასაყვედურო არც მთავარ მსაჯ მერაბ მალაღურაძისთვის უნდა ჰქონდეთ. ერთადერთი, პირველი ტაიმის ბოლო წამებზე იყო, მასპინძლებმა თბილისელ მსაჯს კუთხურის დროს ტაიმის დამთავრებისთვის რომ დაუცაცხანეს, მაგრამ მერე მალაღურაძემ ქუთათურებს სამართლიანი პენალტი არ დაუკარგა. ამას კი რაც მოჰყვა, უკვე ვთქვით. ნაწვიმარ და უჩვეულოდ მოწყენილ ქუთაისში ბოლნისელებმა ანგარიში მშრალად შეინახეს და ფინალშიც დამსახურებულად გააღწიეს.

თასის ნახევარფინალიდან გავარდნა მაინცდამაინც დიდი ტრაგედია არ უნდა იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ ძალლის, უფრო ზუსტად, ევროსაგზურის თავი იყო დამარხული. გასაგებია, რომ „სიონს" ფინალში გასვლით უეფას თასის ლაჭაშნიკების რეალური შანსი უჩნდებოდა, თუმც ისიც არ დაგავიწყდეთ, გუშინდლამდე „სიონი" და „ტორპედო" ერთ ბედს ქვეშ იყვნენ. თუ თბილისის „დინამო" საქართველოს ჩემპიონი გახდა, რაც წარმოუდგენელი სულაც არაა, ალექსანდრ შტელინის სამწყსოს ევროპაში გასასვლელად მეორე ადგილზე გასვლა დასჭირდება. აი, ამას მისტიროდნენ გუშინ სტადიონზე შეკრებილი, ბოლო წლებში ევროსაგზურს დაჩვეული ქუთაისელი გულშემატკივრები.

გამოსავალი არსებობს — მათივე თქმით, ანუ წყენანარევი ხუმრობით, საკმარისია ჩემპიონატში სულ თბილისის „დინამოს" ეთამაშონ და... დასკვნის გაკეთება ალბათ არ გაგიჭირდებათ.

და „სიონი". ქართული პერიფერიული ფეხბურთის მართლაც გამორჩეული სახე ქვეყნის თასის ფინალში პირველად ითამაშებს.

ბოლნისელებმა ყველაფერი გააკეთეს, იომეს, იშრომეს, მიზანს მიაღწიეს და ეს ალალად დაიმსახურეს. დაიმსახურეს ტაშიც ქუთაისელი გულშემატკივრებისგან, რაც თუნდაც მხოლოდ იმიტომაა მოულოდნელი, რომ ბოლოხანს ქუთაისიდან კმაყოფილი და თავაწეული გუნდი ძალიან იშვიათად წასულა.

ქუთაისი. 7 მაისი. 17.30 საათი. ტორპედო. 3 000 (ტევადობა 19 600)

## ტორპედო 0:0 სიონი

პირველი მატჩი 0:1

*იონანიძემ ვერ გაიტანა პენალტი (70, ააცილა)*

**ტორპედო:** სტურუა, ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, ბაბუნაშვილი (ქლენტი 77), კვეტენაძე, გამეზარდაშვილი, გ. ჩიტაიანი (ზ. ქუთათელაძე 56), პორომანი, იონანიძე, ხირაძიშვილი
*სათადარიგონი:* რევიშვილი, ქელიშვილი, გეგია, აბალკავი
**მწვრთნელი:** ალექსანდრ შტელინი

**სიონი:** ვოლკოვი, ა. ბურნაძე, ხუჯაძე, ორემაშვილი, ფანჩულიძე (გოგიტიძე 90), ბაქრაძე, სვანიძე, შავგულიძე, დაუშვილი (ვ. გვახალია 65), გაბისკირია, ნიჟნიკაძე (დათუაძე 46)
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, სვანიძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილებები:** ორემაშვილი (61), ხვადაგიანი (66), გაბისკირია (66), სვანიძე (72), გვახალია (90)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი; **დირექტორი:** ს. კოტრიკაძე

ჯარიმა: 11-17; კუთხური: 9-4; კარისკენ დარტყმა: 8-3; კარში დარტყმა: 7-3; თამაშგარე: 3-6

## პრესკონფერენცია

პრესკონფერენციაზე ტორპედოელთა მწვრთნელი *ალექსანდრ შტელინი* თემურ მახარაძეზე ადრე გამოცხადდა და მატჩის კომენტარიც მის მოსვლამდე გააკეთა:

— ჩვენ მეტოქისგან სხვაგვარ ტაქტიკას ველოდით. კი ვფიქრობდით, რომ იგი კონტრშეტევებზე ააგებდა თამაშს, თუმცა გვეგონა საკუთარ ნახევარზე ყრუ დაცვის ტაქტიკას მიმართავდა. ამის საპირისპიროდ, ჩვენს ფეხბურთელებს დავალებული ჰქონდათ ფლანგებზე სწრაფად თამაში, რაც მოწინააღმდეგის დაცვით ხაზში თავისუფალი ზონების შექმნას გამოიწვევდა და ეს შორეული დარტყმების საშუალებას მოგვცემდა.

ყოველივე ამის გაკეთება ვერ მოვახერხეთ, სათასო მატჩი ყოველთვის თავისებურებით გამოირჩევა, აუცილებლად გოლის გატანა გვჭირდებოდა და კომბინაციური თამაში ვერ შევძელით, რითაც მივიღეთ სამწუხარო შედეგი — ფრე.

*თემურ მახარაძე:* ძალიან დაძაბული თამაში იყო. ამ მატჩს ჩვენთვის უდიდესი ფასი ჰქონდა, „ტორპედო" ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. მე დავესწარი „დინამოსთან" მის ბოლო თამაშს და აღფრთოვანებული დავრჩი გუნდის სათამაშო დისციპლინით, საქართველოს 3-გზის ჩემპიონს აშკარად ეტყობა მწვრთნელის ხელი. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ასეთი ძლიერი მეტოქის დამარცხება მოვახერხეთ. ყველაფერი თავდადებამ გააკეთა, ჩემი ბიჭების კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, სადაც გოლის გატანაც კი შეგვეძლო, თუმცა მეტოქესაც იგივე შანსი ჰქონდა. ნამდვილი სათასო შეხვედრა იყო, უშეღავათო და შეუპოვარი ბრძოლით აღსავსე. მადლობელი ვარ ქუთაისელი გულშემატკივრის, რომელმაც ტაშით გაგვაცილა.



ალექსანდრ შტელინი



თემურ მახარაძე

გაგიკო ქართლელის ფოტოები





გაგიკო ქართლელის ფოტოები

ბოლნისელები მერაბ მალაღურაძეს პენალტის გამო კი ეკამათნენ, მაგრამ ყველაფერი მათ სასიკეთოდ დასრულდა — ზურაბ იონანიძემ ააცილა



გიორგი ლომაიას კარში გოლი ორჯერ შევარდა

# ერთი ნაბიჯით წინ

## შუშაკმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა

მამუკა კვანტალიანი

თბილისი. 7 მაისი. 17.30 საათი. ეროვნული. 300 ( ტევადობა 70 900)

### დინამო 2:1 ლოკომოტივი

პირველი მატჩი 4:0

1:0 დარასელია (20), 2:0 ახალაია (35), 2:1 ქიქველიშვილი (76)

| დინამო | ლოკომოტივი |
|---|---|
| ზოიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი (ბობოხიძე 54), ა. სახვაძე, კვირკველია (კანდელაკი 39), ანჩაბაძე (გ. ვ. მიქაძე 61), ბურდული, დარასელია, ახალაია | ლომაია (იფარდავა 59), ბალაშვილი, გ. ონიანი (რუსია 46), სალუქვაძე, რ. ონიანი, ქიქველიშვილი, სირაძე, ხალასარი, კაიდარაშვილი, ძოძუაშვილი (გოგინაშვილი 64), ლაცაბიძე |
| სათადარიგონი: გვარამაძე, მაზიაშვილი, ჯაკობია, ი. სამხარაძე | სათადარიგონი: კვარაცხელია, ნანა |
| მწვრთნელი: ივო შუშაკი | მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი |

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გურჯაანი); ა. შუშკოვი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე. დირექტორი: გ. ცაავა

ჯარიმა: 20-14; კუთხური: 2-6; კარისკენ დარტყმა: 2-4; კარში დარტყმა: 3-3; თამაშგარე: 2-1

„ჩვენ შესუსტებული შემადგენლობით ვითამაშეთ, სხვადასხვა მიზეზების გამო კვარაცხელია, სოსელია, ორბელაძე, ბურნაძე და ნანა გვაკლდნენ. მათი სრულფასოვანი შემცვლელები სადღეისოდ „ლოკომოტივში" არ არიან, თუმცა მოედანზე თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ იყო და ვერც „დინამოს" დავუკარგავ დამსახურებას, მეტოქემ ორი მატჩის ჯამში აშკარად გვაჯობა და ფინალშიც დამსახურებულად გავიდა.

„დინამოსთან" რევანშის აღებას საჩემპიონატო მატჩში ვეცდებით. იმ დროისთვის ზემოთ ნახსენები ხუთეულიდან სამი ფეხბურთელი მაინც შეგვემატება და საკუთარ სტადიონზე წარმატების მეტი შანსიც გვექნება.

მართალია, თასისთვის ბრძოლას გამოვეთიშეთ, მაგრამ პირველობის იმედი ჯერაც გვაქვს. არ მესმის, ჩემპიონობისთვის რატომ არ უნდა ვიბრძოლოთ, ოთხქულიანი ჩამორჩენა დარჩენილ ოთხ ტურში არც ისე ძნელად დასაძლევია" — გუშინ ნამატჩევს რკინიგზელთა თავკაც ლუის ცაკარიასს თითქმის ყველაფერში დაეთანხმებოდით, მაგრამ „ლოკომოტივის" საჩემპიონო შანსები რომ, ფაქტობრივად, არ არსებობს, ესეც სიმართლეა. დღევანდელი მზადყოფნით რკინიგზელები არც ოთხქულიანი დეფიციტის გამბათილებლები არიან და ვერც ზედიზედ ოთხ მატჩს მოიგებენ.

პრესკონფერენციაზე ივო შუშაკმა უფრო მოკრძალებით შეაფასა თავისი გუნდის შესაძლებლობები. „23 დღეში 5 უპრინციპულესი მატჩი გველის, ოთხი საჩემპიონატო და ერთიც სათასო ფინალი. დღეიდან „დინამოში" საგანგებო მდგომარეობას ვაცხადებ, ეს საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალური კონცენტრაცია მოვახერხოთ და დარჩენილ თამაშებს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ.

ვფიქრობ, ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურამდე არ გაირკვევა. არავინ იცის, ვინ სად წაიფორხილებს. შანსი ყველასთვის არსებობს და მის გამოყენებას კონკურენტებიც მაქსიმალურად ეცდებიან.

საკვირაო თამაშზე ბევრი რამაა დამოკიდებული. „ვიტ ჯორჯია" — „დინამოს" შორის პირველი გოლის გამტანს დიდი უპირატესობა ექნება, თუმც ჩემი აზრით, დაძაბულობა ბოლო წუთამდე არ განელდება".

გუშინდელ პრესკონფერენციაზე არავის გაჰკვირვებია „დინამო" — „ლოკომოტივის" სანახევარფინალო თამაშზე მწვრთნელებმაც ცოტა რომ ილაპარაკეს და დიდი დრო თავიანთი გუნდების საჩემპიონო ამბიციებზე საუბარს დაუთმეს.

ისე, დიდად საინტერესო მატჩი არც ყოფილა და მაყურებელიც სამასიოდე თუ ესწრებოდა. „დინამომ" პირველ ტაიმშივე მოუთავა საქმე „ლოკომოტივს", ჯერ იყო და სახვაძის ჩაწოდებულ და მცველის მიერ თავით მოგერიებულ ბურთს დარასელიამ ცაცია ლონივრად დაჰკრა და ლომაია უსაქმოდ დატოვა. გოლი მართლაც შესახედი გამოვიდა. დინამოელის საჯარიმოს ხაზიდან დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა და კარში ისე შევარდა, იქვე მდგომმა ლომაიამ ხელის ალმართვაც ვერ მოასწრო. მერე კი ანჩაბაძემ გაიყვანა გარღვევაზე ახალაია, რომელმაც აშკარად დაჩაგრა გიორგი ონიანი და საჯარიმოში შეჭრილმა შორეულ მარცხენა კუთხეში გაიტანა.

მეორე ტაიმში რკინიგზელებს გატანის შანსი ორჯერ მიეცათ. ზოიძემ ვაშაკიძის ფეხიდან ასხლეტილი და კარში მიმავალი ბურთი კი მოიგერია, მაგრამ რამდენიმე წუთში ჭიჭველიშვილის თავურს, რომელიც ფლანგურ ჩაწოდებას მოჰყვა, ვერაფერი მოუხერხა, მიწიდან ასხლეტილი ბურთი ცხრიანში შევარდა.

ფინალში გასვლამ ნამატჩევს ივო შუშაკს ათქმევინა, წლეულს შარშანდელთან შედარებით ერთი ნაბიჯით წინ წავიწიეთ, მაშინ ხომ ნახევარფინალს ვერ გავცდითო.



ივო შუშაკი პირველმა ფინალმა გაახარა

# საქართველოს თასის ყველა ფინალი

## 2002–03

თბილისი. 26 მაისი

დინამო — სიონი

## 1990

თბილისი. 18 ნოემბერი

ეროვნული. 35 000 მაყურებელი

**გურია 1:0დ.დ. (0:0) ცხუმი**

1:0 ფრიდონაშვილი (95)

მსაჯი: მ. მალაღურაძე

## 1991–92

თბილისი. 26 მაისი

ეროვნული. 18 000 მაყურებელი

**იბერია 3:1 ცხუმი**

1:0 ინალიშვილი (33), 2:0 რევიშვილი (54), 3:0 შ. არველაძე (60), 3:1 მ. ჯიშკარიანი (61)

მსაჯი: მ. კობიაშვილი

## 1992–93

თბილისი. 26 მაისი

ეროვნული. 25 000 მაყურებელი

**დინამო 4:2 ბათუმი**

1:0 რ. არველაძე (4), 2:0 ა. არველაძე (22), 2:1 ტუღუში (26), 3:1 შ. არველაძე (35), 4:1 რ. არველაძე (37), 4:2 ხომერიკი (78)

მსაჯი: ს. კვარაცხელია

## 1993–94

თბილისი. 26 მაისი

ეროვნული. 20 000 მაყურებელი

**დინამო 1:0 მეტალურგი (რუსთავი)**

1:0 ყაველაშვილი (57)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე

## 1994–95

თბილისი. 26 მაისი

ეროვნული. 15 000 მაყურებელი

**დინამო 1:0 ბათუმი**

1:0 დემეტრაძე (27)

მსაჯი: ო. გუნთაძე

## 1995–96

თბილისი. 26 მაისი

ეროვნული. 35 000 მაყურებელი

**დინამო 1:0დ.დ. (0:0) ბათუმი**

1:0 ინალიშვილი (96)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე

## 1996–97

თბილისი. 26 მაისი

ეროვნული. 10 000 მაყურებელი

**დინამო 1:0 ბათუმი**

1:0 დემეტრაძე (31)

მსაჯი: ს. კვარაცხელია

## 1997–98

თბილისი. 26 მაისი

ეროვნული. 20 000 მაყურებელი

**დინამო 1:2დ.დ. (1:1) ბათუმი**

0:1 კანტიძე (14), 1:1 ალექსიძე (36), 1:2 ჭიჭველიშვილი (118)

მსაჯი: ს. კვარაცხელია

## 1998–99

თბილისი. 26 მაისი

ეროვნული. 5 000 მაყურებელი

**ტორპედო 0:0დ.დ. (0:0, პენ. 4:2) სამგურალი**

*პენალტები გაიტანეს:* იონანიძე, დ. ჯანაშია, მაზანაშვილი, იმედაძე; სუხიაშვილი, გ. შენგელია

*ვერ გაიტანეს:* პ. ჯინჭარაძე; გ. კილასონია

მსაჯი: ს. კვარაცხელია

## 1999–00

თბილისი. 26 მაისი

ეროვნული. 10 000 მაყურებელი

**ლოკომოტივი 0:0დ.დ. (0:0, პენ. 4:2) ტორპედო**

*პენალტები გაიტანეს:* ბალაშვილი, კ. გოგიჩაიშვილი, მ. ჯიშკარიანი, ზ. ხიზანიშვილი; კ. კვეტენაძე, მ. ასათიანი

მსაჯი: ს. კვარაცხელია

## 2000–01

თბილისი. 26 მაისი

ლოკომოტივი. 35 000 მაყურებელი

**ლოკომოტივი 0:0დ.დ. (0:0, პენ. 3:4) ტორპედო**

*პენალტები გაიტანეს:* ლ. სალუქვაძე, დათვაძე, გ. შენგელია; ხვადაგიანი, იონანიძე, აშვეთია, მ. ასათიანი

*ვერ გაიტანეს:* ბალაშვილი, გილაური, ჭიჭველიშვილი; კ. კვეტენაძე, პ. ჯინჭარაძე

მსაჯი: მ. მალაღურაძე

## 2001–02

თბილისი. 26 მაისი

ეროვნული. 8 000 მაყურებელი

**ლოკომოტივი 2:0 ტორპედო**

1:0 დავითაშვილი (34), 2:0 ჯანაშია (63)

მსაჯი: კ. მესხი



2002 წლის 26 მაისი. ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშიას მეორე გოლმა „ტორპედო" წელში გატეხა და თასი რკინიგზელებს დარჩათ

# დამთავრდება და გზაც გამოჩნდება

## გიორგი დეკანოსიძე ფიურტს ტოვებს

*საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველის გიორგი დეკანოსიძის ფიურტული კარიერა დასასრულს უახლოვდება. ჩვენებურმა მეორე ბუნდესლიგის ამ კლუბში ვერ დაიმკვიდრა ადგილი და გაცლა ამჯობინა. „ფიურტის“ მწვრთნელმა ეუგენ ჰახმა დეკანოსიძე ძირითადი გუნდის განაცხადში ბოლოს „ფრაიბურგთან“ მატჩის წინ შეიყვანა, მაგრამ მთელი შეხვედრის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე ეჯდა. მას მერე დეკანოსიძე სამარქაფოებშიც არ გამოჩენილა. ეგ იყო, გუშინწინ სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში „ბაიერნჰოფის“ წინააღმდეგ ითამაშა. „ფიურტმა“ 2:0 გაიმარჯვა. გერმანელ მიმომხილველთა თქმით, ქართველი ყველაზე აქტიური იყო მოედანზე*

„დეკამ“ შეუცვლელად ითამაშა, ჯერ პირველ ტაიმში მაჯუნკეს გაატანინა, მატჩის ბოლოს კი ლამაზი დრიბლინგი ექვსი მეტრიდან საგოლე დარტყმით დაასრულა. მისმა გუნდმაც 2:0 გაიმარჯვა.

მიუხედავად ამისა, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ სეზონის ბოლოს დეკანოსიძე „ფიურტს“ დატოვებს. ამის შესახებ ქართველმა ნახევარმცველმა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას გვითხრა:

— გუნდის მწვრთნელი ეუგენ ჰახი კარგ დამოკიდებულებაშია ჩემთან, მაგრამ ძირითად გუნდს არ მაკარებს, რაც ჩემზე უარყოფითად მოქმედებს. ამიტომ მყარად გადავწყვიტე — სეზონის ბოლოს გუნდს დავტოვებ.

**— კი მაგრამ, ეს ხომ მარტო შენზე არ არის დამოკიდებული. „ფიურტთან“ კონტრაქტი 2004 წლამდე გაკავშირებს.**

— კონტრაქტი არაფერ შუაშია, ორმხრივი სურვილით შესაძლებელია მისი დარღვევა. როგორც ვიცი, „ფიურტის“ ხელმძღვანელობა არ არის ჩემი გაშვების წინააღმდეგი, რადგან არ ვთამაშობ და, ფაქტობრივად, ტყუილად მიხდიან ფულს. ამიტომ მათი სურვილიცაა კონტრაქტის გაწყვეტა და ალბათ თავისუფალი აგენტის სტატუსით დავშორდები „ფიურტს“.

**— სად გააგრძელებ კარიერას, თუ გაქვს კონკრეტული წინადადებები?**

— ჯერჯერობით არანაირი ვარიანტი არ მაქვს. ვნახოთ, რა იქნება, სეზონი დამთავრდება და გზაც მას შემდეგ გამოჩნდება.

**— ვიცით, რომ „ვალდჰოფს“ სურდა შენი გადაბირება, არ გსურს, ამ გუნდში მოსინჯო შენი შესაძლებლობები?**

— „ვალდჰოფს“ კი ვუნდივარ, მაგრამ ეს გუნდი, ფაქტობრივად, გავარდნილია მეორე ბუნდესლიგიდან. გერმანული წეს-კანონით კი, ახალი სეზონიდან რეგიონალლიგაში არაევროკავშირელებს თამაშის უფლება აღარ ექნებათ. ამიტომ „ვალდჰოფის“ ვარიანტი გამორიცხულია.



ბაიერნჰოფელებმა წაქცეულ გიორგი დეკანოსიძეს ვერაფერი მოუხერხეს

**— საქართველოს ჩემპიონატში არ დაბრუნდები?**

— გამორიცხული არაფერია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისევ გერმანიაში მირჩევნია თამაში. ავად თუ კარგად, აქაურობას შევეგუე. თუმც იმის შანსიც არის, რომ ამ ქვეყნის დატოვება მომიხდეს. მეორე ბუნდესლიგაში ჩემპიონატი 25 მაისს მთავრდება და ვფიქრობ, ჩემი ახალი გუნდის ვინაობაც ამის მერე გაირკვევა.

**ბაატა ძგანტალიანი**



# 10 000$ დაგვიანებისთვის

## დიდავას და ქემოკლიძეს თვალი ტრაბზონსფორმა დაადგა

**თურქულ** „ქოჯაელისფორს“ ქართველ ლეგიონერებიანად მეორე ლიგაში დაქვეითება ემუქრება. გიუვენჩ ქურთარმა გუნდს ვერ უშველა და უმწვრთნელოდ დარჩენილთა ბანაკში სრული ქაოსი სუფევს. პრეზიდენტი ჰიქმეთ ენერკაია თავის მოვალეობას 7 ივნისამდე შეასრულებს, მერე კი ახალ არჩევნებს ჩაატარებენ. „ქოჯაელისფორს“ სხვა უბედურებასთან ერთად ორ მილიონ დოლარამდე ვალიც დაუგროვდა, რომელსაც მეორე ლიგიდან ნამდვილად ვერ გაისტუმრებს.

გულშემატკივრები, რომლებიც გაზაფხულზე გიუვენჩ ქურთარს მხარს უმაგრებდნენ, ახლა კრახს ყოფილ მწვრთნელს აბრალებენ და კლუბის მეპატრონეებისგან პასუხს ითხოვენ — რა ეშველება „ქოჯაელისფორს“?

ფეხბურთელებიც გუნდიდან წასვლას ლამობენ, რადგან დაქვეითება არავის სურს. ზოგიერთს სხვა თურქული კლუბებიც ეპატიჟებიან. გივი დიდავას და რევაზ ქემოკლიძეს თვალი „ტრაბზონსფორმა“ დაადგა. გაურკვეველია ზაზა ჯანაშიას და გია იმედაძის მომავალი. გარდა ამისა, სამშობლოში შვებულებით ჩამოსული ქემოკლიძე და იმედაძე ქოჯაელში ხუთი დღის დაგვიანებით დაბრუნდნენ და ტექნიკური დირექტორი ილშარ კიარი 10-10 ათასი დოლარით დაჯარიმებას უპირებს.

**ვაჟა ხუციშვილი**


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49


# ვალერი აბრამიძე: მოსკოვში დიდი ამბებია

## ტიტოვი კოსმოსში ვერგაფრენას გადაღლას აბრალებს

*საქმეები ცუდად მისდის მოსკოვის „სპარტაკს“ — შვიდი ტურის შემდეგ რუსულ პრემიერლიგაში მე-14 ადგილზეა, რასაც სკანდალური ამბავიც ემატება — „სპარტაკი“ ფინანსურ მაქინაციებშია მხილებული.*

*„სპარტაკის“ ქართველმა ლეგიონერმა ვალერი აბრამიძემ კი ტრავმა მოიშუშა და ბოლო ორი მატჩიც ითამაშა გუნდის ძირითადში*



— თავს ახლა ნორმალურად ვგრძნობ. ხანდახან პატარა ტკივილი კი მაწუხებს, მაგრამ სათამაშოდ მზად ვარ — გვითხრა აბრამიძემ, რომელსაც გუშინ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.

— „სპარტაკი“ ამ სეზონში ჯერჯერობით ძალიან სუსტად გამოიყურება, ერთი მოგება, სამი ფრე და სამი წაგება. რისი ბრალია ასეთი შედეგი?

— რა ვიცი, ვერავინ ვერ ხვდება ამის მიზეზს, ვერ გავიგეთ, რა გვჭირს, ალბათ, არ გვიმართლებს.

— ბოლო შეხვედრაში „ტორპედოსთან“ სულაც 0:3 წავაგეთ...

— პირველი ბურთი რომ გავუშვით, მთელი გუნდით წინ წავედით და მეტოქემ კონტრშეტევებზე გამოგვიჭირა. საგოლე მომენტები გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. პირველ ტაიმში, ან მეორეს დასაწყისში ბურთი რომ შეგვეგდო, სულ სხვა შედეგით დამთავრდებოდა მატჩი.

**— „სპარტაკი“ რომ დმიტრი ალენიჩევის ტრანსფერთან დაკავშირებით სკანდალშია გახვეული, ამაზე რას იტყოდი?**

— მართლაც დიდი ამბებია. მოსკოვში ყველანი ვიაჩესლავ კოლოსკოვის უცხოეთიდან ჩამოსვლას ელოდებიან. თვითონ გუნდში კი არაფერი განსაკუთრებული არ ხდება — ეს პრობლემა ხომ კლუბის ხელმძღვანელობას ეხება.

**— შენ როგორ ითამაშე „ტორპედოსთან“?**

— წინა მატჩში მარჯვენა მცველი ვიყავი, „ტორპედოსთან“ კი პერსონალურად ვმეურვეობდი სემშოვს. ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია, სემშოვს ჩვენთვის გოლი არ გაუტანია.

**— „სპარტაკი“ პერსონალურ დაცვას თამაშობს?**

— არა, უბრალოდ სემშოვი „ტორპედოს“ წამყვან ფეხბურთელად ითვლება და მწვრთნელმა ამ კონკრეტულ მატჩში ასე გადაწყვიტა.

**— რუსეთის ნაკრებს რომ მოვუგეთ, ამაზე რა ითქვა „სპარტაკში“?**

— იგორ ტიტოვს ველაპარაკე და მითხრა, წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ფეხბურთელები გადაღლილები ვიყავით გადატვირთული განრიგითო. საუბრის ბოლოს ტიტოვმა საქართველოს ნაკრები შეაქო და ჩვენი გუნდიდან კახა კალაძე და თავდასხმის ხაზი გამოარჩია.

**— შენს სანაკრებო პერსპექტივას როგორ უყურებ?**

— მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და „სპარტაკის“ ძირითადში ადგილი დავიმკვიდრო. მერე კი ალბათ ყურადღებას მომაქცევენ.



ვალერი აბრამიძეს ნაკრებში დაბრუნების იმედი აქვს

**დავით თავართქილაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ნახევარფინალი. პირველი მატჩი



ვისენტე დელ ბოსკე

## რეალი 2:1 იუვენტუსი

1:0 რონალდო (23), 1:1 ტრეზეგე (45), 2:1 რობერტო კარლოსი (73)

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". 75 000 მაყურებელი. მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, გუტი, ზიდანი, რონალდო (პორტილიო 50), მორიენტესი (სოლარი 79)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ბუფონი, ტურამი, ფერარა, იულიანო (პესოტო 46), ბირინდელი, ძამბროტა, ტუდორი (კამორანეზი 80), კონტე, ნედვედი (დი ვაიო 82), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

გაფრთხილება: ბირინდელი, იულიანო, ძამბროტა, კონტე, ფერარა

*საპასუხო მატჩი გაიმართება 14 მაისს*

# მეფის სიტყვა

## მომავალ შეხვედრამდე ოლდ ტრეფორდზე



მარჩელო ლიპი

*— როდესაც მეფე სტადიონს ტოვებდა, გამომშვიდობებისას ასე მითხრა: „ოლდ ტრეფორდზე" შეხვედრამდე. ვეთანხმები, დღეს კარგად ვითამაშეთ და კარგ შედეგს მივაღწიეთ. განსაკუთრებით პირველი ტაიმი მომეწონა და ვფიქრობ, „იუვენტუსი" ფრეს არ იმსახურებდა. ჩვენ საპასუხო შეხვედრაშიც მოგებას დავისახავთ მიზნად. „რეალი" თავს არასდროს იცავს — განაცხადა მადრიდის „სამეფო კლუბის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა*

მეფე იმის მეფეა, რომ სიტყვა-პასუხი არ ეშლება, ხოლო „რეალი" და „იუვე" იმის „რეალი" და „იუვე" არიან, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშონ. ასეც მოხდა, მაგრამ მანამდე: მასპინძელთა მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკეს რაულის შემცვლელი ჰყავდა შესარჩევი, „ბებერი ქალბატონის" თავკაცს, მარჩელო ლიპის კი დისკვალიფიცირებული ედგარ დავიდსის, ალესიო ტაკინარდის და პაოლო მონტეროს არყოფნა უნდა გაებათილებინა. რაული დიდი ფეხბურთელია, რომელსაც „სამეფო კლუბში" საგანგებო როლი ენიჭება, მაგრამ გავბედავთ და ვიტყვით, რომ ძლიერი მოთამაშეებით მდიდარ მადრიდში ერთი ფეხბურთელის მეტნაკლები წარმატებით შეცვლა უფრო შესაძლებელია, ვიდრე ამხელა კლუბისთვის გასაოცრად მწირი სათადარიგოთა სკამის მქონე „იუვენტუსში" სამის. დელ ბოსკემ ტაქტიკა გადააწყო. თუ ჩვეულებრივ იგი რაულს უკან დაწეულ თავდამსხმელად ათამაშებდა, ხოლო ზურგს კლოდ მაკელელესა და ფლავიო კონსეისაუს ჩამშლელი წყვილით უმაგრებდა, ახლა რაულის მაგივრად წინ მოქმედი ფორვარდი, ფერნანდო მორიენტესი ათამაშა, კონსეისაუ კი შემტევი თვისებების მქონე ნახევარმცველით, გუტით შეცვალა.

მარჩელო ლიპიმ კი დისკვალიფიცირებულთა პრობლემა ასე გადაჭრა: მონტეროს ადგილი მარკ იულიანომ დაიკავა, დავიდსისა იგორ ტუდორმა, ხოლო ტაკინარდისა ანტონიო კონტემ.

თამაშის მსვლელობისას ძალიან საინტერესო სურათი გამოიკვეთა ტურინელთათვის მარჯვენა, ხოლო მადრიდელთათვის მარცხენა ფრთაზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ ასმეტრიან მონაკვეთზე მეტოქეებმა ნომინალურად თითო მოთამაშე დაუპირისპირეს ერთმანეთს. „რეალმა" ამ მხარეს ტრადიციისამებრ რობერტო კარლოსი გაიყვანა, „იუვენტუსმა" ლილიან ტურამი, თუმცა, მიუხედავად ამისა, ხალვათობა არ იგრძნობოდა, რადგან მასპინძლები, ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ თუ სხვები და სტუმრები, ჯანლუკა ძამბროტა, პაველ ნედვედი და ძმანი მისნი საჭირო დროს იკავებდნენ თავისუფალ სივრცეებს.

ანგარიში 23-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც რონალდომ იულიანოსთან მოჭიდავე მორიენტესს მიაწოდა ბურთი, მორიენტესმა ძალისმიერად იმარჯვა, ბურთი უმალ ბრაზილიელს დაუბრუნა, ხოლო მან ჩირო ფერარას მიერ წამით მიტოვებული ზონა „გახსნა" და გოლი შეაგდო.

ტაიმის მიწურულს ტურინელებმა გაქვითეს. დელ პიერომ მომენტი შექმნა, ფერნანდო იერომ ბურთის საჯარიმოდან გაგდება სცადა, მაგრამ მიჩელ სალგადოს მოარტყა და ამით სხარტად ისარგებლა დავიდ ტრეზეგემ — ტრეზეგეს გამოჯანმრთელებამ სულზე მიუსწრო შემადგენლობაშეთხელებულ „ბებერ ქალბატონს".

შესვენების შემდეგ „რეალს" ცუდი ამბავი შეემთხვა: რონალდომ თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო, პირველ ტაიმში იულიანოსთან შეჯახებამ დააშავა. დელ ბოსკე იძულებული შეიქნა „ფენომენი" შეეცვალა, მის ნაცვლად მოედანზე ხავიერ პორტილიო შეეყვანა. პორტილიო უთუოდ ნიჭიერი თავდამსხმელია, მაგრამ რონალდო არ არის და სწორედ ამ შეცვლას მოჰყვა კარგა დიდი მონაკვეთი, როდესაც „იუვემ" მატჩის სადავეები იგდო ხელთ.

მაგრამ სტუმრებმა გოლი ვერ გაიტანეს, „რეალმა" კი გაიტანა და შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ მოატრიალა. ეს იყო რობერტო კარლოსის გოლი, რომლის დროსაც თანამსაჯს ალამი ჰქონდა აღმართული, ნორვეგიელმა მსაჯმა ტერიე ჰაუგემ კი იგი მაინც ჩათვალა — ნახევარფინალური მატჩისთვის უთუოდ თამამი გადაწყვეტილებაა. თანამსაჯს კი ალამი, აი, რატომ ჰქონდა აღმართული: რობერტო კარლოსის დარტყმის მომენტში „რეალის" სამი (!) ფეხბურთელი ოფსაიდში იდგა.

თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ამ ეპიზოდზე შევჩერდეთ, ოღონდ იმის აუცილებელი დართვით, რომ პასიური თამაშგარეების შეფასებისას მსაჯი ყოველთვის მართალია, მორალურად თუ არა, ფორმალურად მაინც. რობერტო კარლოსის დარტყმული არავის შეხებია, ბურთი ძელს არ აუსხლიტავს, მეკარეს ხელიდან არ გავარდნია და არავის მიუკრავს ფეხი, ხოლო ასე რომ მომხდარიყო, ტერიე ჰაუგე ალამალმართულ კოლეგას დაუჯერებდა და გოლს არ ჩათვლიდა. მაშ, რაღა გვინდა? არის მხოლოდ ერთი ნიუანსი — რამდენად შეუშალეს ხელი ოფსაიდში ჩარჩენილმა მადრიდელებმა „იუვენტუსის" მეკარეს, ჯანლუიჯი ბუფონს მთელი ყურადღების ბურთისკენ მიმართვაში. ზოგადად მეტოქე იმისაა, რომ ხელი შეგიშალოს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც წესებით ნებადართულ ადგილას დგას. პასიური თამაშგარეა მაშინაც, როდესაც შემტევი გუნდის წევრი სადღაც მოედნის კიდესთან არის ჩარჩენილი და მაშინაც, როდესაც ის მეკარის წინ დგას, საჯარიმოში. ვიმეორებთ, ფორმალურად ორივე შემთხვევა ერთნაირად ფასდება და ჰაუგემაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფორმალობას ბუფონზე მეტი პატივი სცა.

„მართალი გითხრათ, „რეალმა" შეტევაზე მეტისმეტად აქცენტირებული შემადგენლობით ცოტა გამაკვირვა. მე უფრო ფლავიო კონსეისაუს ან სტივ მაკმანამანს ველოდი. მათ კი გუტი და მორიენტესი გამოიყვანეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩემი გუნდი ნიადაგ სასურველი შედეგის მიღწევას ცდილობდა. კიდევ, ველოდი, რომ „რეალი" მეტად გაგვაწვალებდა, არადა, რაც უფრო შორს მიდიოდა შეხვედრა, მასპინძლებს მით უფრო მეტად ეტყობოდათ დაღლა. ერთი სიტყვით, საპასუხო შეხვედრის წინ ძალიან ლაღებითი განწყობა შემექმნა და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ფინალში გავალთ — განაცხადა მატჩის შემდეგ „იუვენტუსის" თავკაცმა მარჩელო ლიპიმ — მსაჯის გადაწყვეტილებებს არ ვაპროტესტებ და ანგარიში არ მაღიზიანებს. ზიდანმა დიდებულად ითამაშა, თუმცა ამაში გასაკვირი რა არის, ის ხომ დიდებული ფეხბურთელია. დიდ სტადიონებზე, დიდ შეხვედრებში ის ყოველთვის ბრწყინავს".

„რეალის" თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე: „იუვენტუსის" დარ გუნდთან ორმატჩიან ორთაბრძოლას პირველივე შეხვედრაში რომ ვერ მოათავებ, ჩემთვის იმთავითვე ცნობილი გახლდათ. სხვაობა მინიმალურია, მაგრამ უპირატესობა მაინც ჩვენია. რაც შეეხება გუტისა და მორიენტესს, ეს წყვილი იმიტომ ვათამაშე, რომ „იუვენტუსი" დაცვის მოყვარული გუნდია, რომელსაც ბურთის უკან ბევრი ფეხბურთელის დატოვება უყვარს".

ფერნანდო მორიენტესი: „ხშირად არ მათამაშებენ და ამიტომ პრაქტიკა მაკლდა, მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის და ჩვენ ტურინში გასამარჯვებლად, საკუთარ თავში სრულიად დარწმუნებულნი ჩავალთ".

დავიდ ტრეზეგე: „დღეს კლასი ვაჩვენეთ და ჩვენი მომენტებიდან მიღწეული გვაკმაყოფილებს, უახლოეს დღეებში ორი მიზანი გვაქვს, სკუდეტოს მოგება და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა".

**პაატა ძიძია**



მოედნის შუაგულში ზინედინ ზიდანს და პაველ ნედვედს გვარიანი ბრძოლა გაეჩაღებინათ

REUTERS მადრიდიდან



დავიდ ტრეზეგეს გოლს რობერტო კარლოსმა გოლით უპასუხა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაული გაწერეს, რონალდო მიიღეს



რაული სატურინოდ მზად იქნება

რაულ გონსალეს ბლანკო, რომელიც აპენდიციტის ოპერაციის გამო იძულებული გახდა, დიდ ფეხბურთს რამდენიმე კვირით ჩამოშორებოდა, სავსებით შესაძლებელია, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ტურინის „იუვენტუსთან" საპასუხო მატჩში ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, იგი „იუვეს" სამშობლოში „რეალთან" ერთად გაემგზავრება. ორშაბათს მადრიდელთა იმედმა გუნდის დანარჩენ ფეხბურთელებთან ერთად მსუბუქად ივარჯიშა, ბურთთან შეხება და სირბილი ილაად შეძლო და ტკივილებს უკვე აღარ შეუწუხებია. გარდა ამისა, რაული საცურაო აუზისა და საკარჯიშო დარბაზის ხშირი სტუმარიც გახლავთ, რაც სათამაშო პრაქტიკის უქონლობისას სპორტული ფორმის შენარჩუნებაში დიდად ეხმარება.

„რეალის" თავდამსხმელი გამოჯანმრთელებას ჩქარობს. ვარაუდობდნენ, რომ იგი სირბილს 6 მაისს დაიწყებდა, მან კი ორი დღით ადრე, „მალიორკასთან" შეხვედრის წინ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ივარჯიშა. მადრიდელს არც კვირა დღე გაუცდენია უქმად და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორშაბათსაც მიიღო გუნდის წვრთნაში მონაწილეობა. „ბერნაბეუზე" ისე რა გატარებული 30 წუთი მომავალ კვირაში შეიძლება ტურინელთა წინააღმდეგ მძვინვარე მატჩში გადაიზარდოს. ოპერაცია ოპერაციად დარჩეს და დიდ ფეხბურთს დანატრებული რაული მარჩელო ლიპის გუნდისთვის ჩვეულებრივზე ათმაგად საშიში იქნება.

ახლა რონალდოზე, კიჭა-ვარსკვლავმა იტალიელებს გოლი კი გაუტანა, მაგრამ დაშავდა და იძულებული იქნება, „რეალ"—„უელვას" შაბათის შეხვედრა გამოტოვოს. ის კი არა, „იუვენტუსის" წინააღმდეგ მისი თამაშიც საეჭვო ხდება. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, „რეალის" მკურნალთა ოსტატობას, რონალდოსა და რაულის ჯიგიტობასა და 14 მაისის ტიტანთა შერკინებას დაველოდოთ.

თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მადრიდის „რეალის" ვარსკვლავის, რაულის მკურნალმა ესკულაპებმა დაგეგმეს, სამეფო შვიდიანი უკვე მომავალ ორშაბათს შეძლებს სრულფასოვანი საფეხბურთო ჯანმრთელობის აღდგენას. „რეალისა" და რაულის ფანებისთვის სასიხარულო ეს ინფორმაცია მადრიდელთა სამედიცინო შტაბმა გუშინწინ დაადასტურა.

**ლადო ხომერიკი**



რონალდოს ექიმებმა საიმედო ვერაფერი უთხრეს

**გუშინ** უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ორგანიზაციის სალარო 135 ათასი ევროთი გაიმდიდრა, ამ თანხის გადახდა კი ექვს კლუბს დააკისრა.

რომის „ლაციოს" ყველაზე მეტი, 30 ათასი ევრო წაჰგლიჯეს, რისი მიზეზიც 24 აპრილს, უეფას თასის საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრისას „სტადიო ოლიმპიკოზე" მაყურებელთა მიერ ნასროლი მაშხალები გახდა. შეგახსენებთ, რომ იმ მატჩის შემდეგ ფინალისკენ გზა „პორტუმ" გაიკაფა.

ხუთი ათასით ნაკლები, ანუ 25 ათასი ევროთი დაჯარიმდა „ლაციოს" თანაქალაქელი „რომა", რომელსაც უფრო ძველი ცოდვა გაუხსენეს. 19 მარტს, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩისას, იმავე „სტადიო ოლიმპიკოზე" მაყურებლებმა „აიაქსთან" წაგების ტოლფასი ფრე იწყინეს და მოედნისკენ რაღაც-რაღაცეები ისროლეს.

ამ თამაშამდე რვა დღით ადრე კი თავად „აიაქსმა" გაიხადა დასასჯელად საქმე. ამსტერდამელებმა „ვალენსიასთან" ფრედ ითამაშეს და ამით განაწყენებულმა ქომაგებმა „ამსტერდამ არენაზე" ლამის ხანძარი გააჩინეს. „აიაქსი" 20 ათასი ევროთი დაისაჯა.

20-20-ათასიან ჯარიმებს გამოჰკრეს ხელი „მილანმა", „ბარსელონამ" და „პანათინაიკოსმა". ცხადია, სახვემ ასევე გულშემატკივართა უწესო საქციელისთვის.

**ირაკლი ნინიძე**







დევიდ ბექემმა თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშზე შამპანურით იწუწავა

# არ გავცვლი მე ჩემს მანჩესტერს...

**ჩაიარა** ერთმა მღელვარე კვირამ, როცა „რეალთან" ზღაპრულ მატჩში ბექემი მხოლოდ ნახევარი საათით შეუშვეს მოედანზე; ჩაიარა მეორე მღელვარე კვირამ, როცა „მანჩესტერი" ჩემპიონი გახდა და ბექემი თვალცრემლიანი გამოეთხოვა „ოლდ ტრეფორდს"; ჩაიარა ორშაბათმაც, როცა ბექემი თანაგუნდელთა წვეულებაზე არ მივიდა და...

აგერ, სამშაბათის ფოტოები. ვარჯიში შამპანურის თანხლებით. და სად არის ბექემი? აქ არის და ვგონებთ, მართლაც არსად მიდის.

„მე „იუნაიტედში" დარჩენა მსურს. ჩემი გრძნობები ამ კლუბის თავკაცების, ფეხბურთელების, ფანებისა და მომსახურე პერსონალის მიმართაც კი ზუსტად ისეთივეა, როგორიც „იუნაიტედში" მოსვლის დროს მქონდა. დღეს მინდა ყველას ვუთხრა, რომ არც „რეალთან" და არც სხვა რომელიმე გუნდთან არავითარი კონტაქტი არ მქონია. ჩემ აგენტთან ტონი სტეფენსთან და მეუღლე ვიქტორიასთან ერთად ბევრი ვიფიქრე და საყვარელ კლუბში დარჩენა გადავწყვიტე, ახლა ჯერი კლუბის თავმჯდომარე პიტერ კინიონზე და ალექს ფერგიუსონზეა. თუ მათ ჩემი დარჩენა სურთ, ასეც იქნება" — დევიდ ბექემის სამშაბათს ნათქვამი ეს სიტყვები „მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივრებისთვის კენტერბერის არქიეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევის დარი (შესაძლოა, უკეთესიც) გამოდგა.

მოკლედ, სათქმელი ითქვა. ახლა გასარკვევი ისღაა, კინიონს და ფერგიუსონს „რეალის" 55 მილიონი დოლარი ხომ არ შეაცდენს. კლუბის თავმჯდომარემ უკვე განაცხადა, ბექემი არ იყიდებაო. რაც შეეხება სერ ალექსს, ამ კაცის კომენტარი ჯერჯერობით იგვიანებს.

სამაგიეროდ, ფეხბურთელები აჭიკჭიკდნენ. „როგორ უნდა გაყიდონ ბექემი? განა ბევრია დედამიწაზე ფეხბურთელი, ვინც იმის გაკეთებას შეძლებს, რასაც ბექემი?" — კითხულობს რაიან გიგზი.

სამშაბათსვე მადრიდის „რეალის" დირექტორმა ხორხე ვალდანომ თქვა, ბექემს ჩვენი გუნდის თეთრი ფორმა მოუხდებოდაო. ამის მიუხედავად, ამდენი ჭორის ობიექტის, თავად 27 წლის დევიდ ბექემის ზემოთ მოყვანილმა სიტყვამ ბუქმეიკერთა კანტორებში კოეფიციენტების უმალ შეცვლა გამოიწვია: თუ აქამდე „იუნაიტედის" ნახევარმცველის ამ ზაფხულს გაყიდვაზე „უილიამ ჰილის" კუში ორნახევარი გახლდათ, ოთხშაბათიდან 3,25 დაწესდა.

**გიგა კობახიძე**

# შერინგემი გაუშვეს, შერინგემი არ მიდის

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა" დაადასტურა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ აღარ გაუგრძელებს კონტრაქტს თავის კაპიტან ტედი შერინგემს. პრემიერლიგის სეზონის დასრულებამდე კი, მოგეხსენებათ, ერთი ტურიღა დარჩა. ასე რომ, კვირას, „უაით ჰართ ლეინზე" „ბლექბერნთან" მატჩი შერინგემისთვის ბოლო „მამლური" თამაში იქნება.

კლუბმა ფეხბურთელთან შეათანხმა ეს გადაწყვეტილება და 37 წლის შერინგემს თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭა.

„ტედი დიდი ფეხბურთელია — თქვა „ტოტენჰემის" მენეჯერმა გლენ ჰოდლმა — მან უზარმაზარი სამსახური გაუწია ჩვენს კლუბს და არა მხოლოდ მოედანზე, მის გარეთაც. ტედი ყოველთვის სამაგალითო პიროვნება იყო ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის. მას სამომავლო წარმატებებს ვუსურვებთ და გვჯერა, რომ ასეც იქნება".

უპრიანია გავიხსენოთ, რომ ტედი შერინგემი 1992-97 წლებში უკვე თამაშობდა „ტოტენჰემში", მერე „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა, საიდანაც ორი წლის წინ ისევ „მამლებს" დაუბრუნდა და თებერვალში თავისი მესამე პრემიერლიგური გოლიც გაიტანა. ხოლო თუ მის უცნობილეს და უმთავრეს გოლზე მიდგა საქმე, 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი უნდა გავიხსენოთ, რომლის პირველ წამატებულ წუთზეც ოლივერ კანს გაუტანა და საფუძველი ჩაუყარა „მანჩესტერის" ჩემპიონობას.

ეს ყველაფერი წარსულია, რა იქნება შემდეგ? 37 წლის კაცს კონტრაქტს რომ აღარ უგრძელებენ, თითქოს კარიერის დასრულებაზეც უნდა დაიწყოს ფიქრი, მაგრამ: „თავს მშვენივრად ვგრძნობ, თამაში შემიძლია და არც მომწყენია. ასე რომ, ფეხბურთიდან წასვლას არ ვაპირებ" – თქვა შერინგემმა.

აი, აქ კი ლისაბონის „სპორტინგმა" [illegible]





1999 წლის 26 მაისი: ეს წამია, ტედი შერინგემმა თავისი კარიერის უმთავრესი გოლი გაიტანა

წამოყო თავი. პორტუგალიელთა დაინტერესებაზე შერინგემის აგენტმა ბარი ნევილმა თქვა, „სპორტინგიდან" უკვე შემეხმიანენ, ახლა კი კონკრეტულ პირობებს ველიო.

კონკრეტულ პირობებში, ცხადია, ხელფასი იგულისხმება. აგენტს კლიენტისთვის კვირაში 25 ათას გირვანქიანი ჯამაგირის გახერხება სურს, თუმცა საეჭვოა, „სპორტინგი" ამ თანხას გაწვდეს. მოკლედ, ვნახოთ.

**ირაკლი ნინიძე**

# ოლივერ კანი დაყრუვდა

## ჰიცფელდი და ბეკენბაუერი ბიჭებს უთვალთვალებენ

მას მუსიკა უყვარს და ქალებიც არ ეჯავრება. „ვოლფსბურგთან" მატჩის შემდეგ ბუნდესლიგის ჩემპიონი ოლივერ კანი თანაგუნდელებთან ერთად სტადიონზე ღრეობდა. ლუდის სმა და ხტუნვა-თამაში რომ დასრულდა, ოტმარ ჰიცფელდმა ფეხბურთელებს რესტორნის მისამართი უთხრა, სადაც გამარჯვება უნდა აღენიშნათ. საყოველთაო სიხარულში ჩაფლული კანი ყურსასმენებით მუსიკას უსმენდა. სამი ჰანგებით გართულმა მეკარემ ღრიანცელში მისამართი ვერ გაიგო.

„ეს აშკარად დაუჯერებელია — თქვა კლუბის მენეჯერმა მარკუს ჰერვიკმა — ის აზრზე არ იყო, სად ვიკრიბებოდით".

ვინ იცის, ეგებ იცოდა კიდეც, მაგრამ განმარტოება არჩია.




როცა სრულიად „ბაიერნის" ფეხბურთელები სუფრასთან ერთმანეთს ჭიქებს უჭახუნებდნენ, ოლივერ კანი მიუნხენის რომელიღაც კაფეში ვახშმობდა. თანაგუნდელებმა მასთან ტელეფონით დაკავშირება სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს.

„ბაიერნს" გერმანიის თასის ფინალში „კაიზერსლაუტერნი" ელის და თუ გაიმარჯვეს, კანმა იქნებ მაშინ მაინც „გამოიწმინდოს" ყურები.

„ბაიერნის" თემა ოტმარ ჰიცფელდის ნათქვამით გავაგრძელოთ: „მომავალ სეზონში გაძლიერებას ვაპირებთ. მაღალი კლასის ფორვარდი აუცილებლად გვჭირდება. ამჟამად 5-6 ფეხბურთელის შესაძლო ტრანსფერს განვიხილავთ. მათ შორის როი მაკაიც არის, რომელმაც შარშან ფაქტობრივად, მარტომ მოგვიგო".

ფრანც ბეკენბაუერს თავისი კანდიდატი ჰყავს — ფერნანდო მორიენტესი. „ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი ახალი ფეხბურთელის შეძენას შევძლებთ, მაგრამ პირადად მე „ბაიერნში" მორიენტესის ნახვა მწადია. სწორედ მას ძალუძს ჩვენი გუნდის გაძლიერება. შარშანდელ სეზონში ის „რეალის" ბომბარდირი გახდა, ახლა კი ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, რადგან რაულსა და რონალდოს კონკურენციას ვერ უწევს" — თქვა „კაიზერ ფრანცმა".

**ვაჟა ხუციშვილი**



# ფენერბაჰჩე ნარკოტიკს მიექალა

## სტამბოლში თეთრი ფხვნილის ახალ პარტიას ელოდებიან

უმწვრთნელოდ დარჩენილი „ფენერბაჰჩე" ისე აირია, რომ თამაშს თამაშზე აგებს. გასულ ტურში თვით დაჩაჩანაკებულ „ბურსასფორსაც" კი არ გასჭირვებია „ლურჯ-ყვითლების" ძლევა.

შარშან დეკემბრამდე „ფენერბაჰჩეს" ვერნერ ლორანტი წვრთნიდა. გერმანელი სპეციალისტი ცუდი შედეგებისთვის დაიწუნეს და გაუშვეს. მის ნაცვლად ოგუზ ჩეტინი დანიშნეს, რომლის თავკაცობითაც გუნდი უკან-უკან წავიდა. მეორე წრეში „ფენერმა" სერგეი რებროვი და ვლადიმირ ბესჩასტნიხი შეიძინა, ხოლო არგენტინელი არიელ ორტეგა დაითხოვა.

სტამბოლური კლუბი მწვრთნელის ძიებაშია, მანამდე კი „გალათასარაი" და „ბეშიქთაში" კონკურენტის დაძაბუნებით ხარობენ.

„ფენერის" ბოსებმა რამდენიმე ვარიანტი განიხილეს. ჯერ ამ სეზონში წამოჩიტული ანკარის „გენჩლერბირლიგის" თავკაცს ერსუნ იანალს მიადგნენ. „გენჩლერი" შესანიშნავად თამაშობს და მეორე ადგილს ეპოტინება, რაც უდავოდ იანალის დამსახურებაა. ანკარელთა პრეზიდენტმა „ფენერბაჰჩე" უარით გაისტუმრა და „ლურჯ-ყვითლებს" ლუის ფერნანდესი გაახსენდათ. ფერნანდესი სეზონის ბოლოს პსჟ-დან მიდის. ფრანგმა წლიურ გასამრჯელოდ მილიონ 700 ათასი ევრო მოითხოვა, რაც თურქებისთვის მიუღებელია.

ამასობაში სტამბოლიდან იტალიაში დინო ძოფსაც შეეხმიანნენ, რომელმაც თქვა: „20 თვეა, უმუშევარი ვარ. საქმე მომენატრა. სტამბოლი კარგი ქალაქია, „ფენერბაჰჩე" კი თურქეთის კვალობაზე ურიგო გუნდი არაა. თურქული ფეხბურთი აღმავლობას განიცდის, რაც მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზეც დამტკიცდა. „ფენერბაჰჩე" რეალურ, ჩემთვის მისაღებ პირობებს თუ შემომთავაზებს, ეგებ კიდეც დავყაბულდე".

კანდიდატთა ნუსხაში ბრაიან რობსონი, ჟან ტიგანა, ალბერტო ძაკერონი და კრისტოფ დაუმიც არიან.

დაუმის თავკაცობით „აუსტრია" ავსტრიის ჩემპიონი გახდა. გერმანელ მენოსავს „ბეშიქთაში" უმუშავია და კოკაინთან მეგობრობაში რომ ამხილეს, სტამბოლიდან წავიდა. ახლა კრისტოფ დაუმი „ბეშიქთაშის" დაძაბუნებულ მტერს, „ფენერბაჰჩეს" მოუნდა.

„ჩემზე უკეთ თურქეთს ვინ იცნობს? — თქვა დაუმმა — „ფენერის" ბოსები თუ მენდობიან, ნაღდად არ წააგებენ. თურქეთის ჩემპიონატი განსაკუთრებულია. სამ ბობოლას შორის („გალათასარაი", „ბეშიქთაში", „ფენერბაჰჩე") მეორეობას წარმატებად არავინ ჩაგითვლის. ამიტომ სტამბოლში მხოლოდ ერთი მიზნით დავბრუნდები — „ფენერბაჰჩეს" გავაჩემპიონებ. ზუსტად საჩემო გუნდია. მახსოვს, „ბეშიქთაშში" ერთი ვარსკვლავიც კი არ მყავდა და 15 მატჩიანი წაუგებელი სერია გავჩარხეთ. მე პროფესიონალი ვარ და ეს არაერთხელ დავამტკიცე".

**რომან თურქია**



დინო ძოფი თურქეთზე თითქმის თანახმაა



ვერნერ ლორანტის გაწვრთნილი „ფენერბაჰჩე", შესაძლოა, კრისტოფ დაუმმა ჩაიბაროს

# ჰოპლა, მე ვთამაშობ!

## ოლივიე დაკური რომიდან საფრანგეთს ხედავს

**გასულ** ზამთარს რაიმე სერიოზული ტრანსფერი გახსოვთ? ალბათ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა თუ ოლივიე დაკურის „ლიდს იუნაიტედიდან" „რომაში" გადასვლას არ ჩავთვლით და ეს ტრანსფერიც, მნიშვნელოვანწილად, ფეხბურთელისა და მისი ინგლისური კლუბის ურთიერთუკმაყოფილებით იყო გამოწვეული. საქმე კი ის გახლავთ, რომ „ლიდსის" თავკაცს, ტერი ვენეიბლზს ეს ბრძოლისმოყვარე ფრანგი ნახევარმცველი თვალში აღარ მოუვიდა და „ელანდ როუდზე" სარეზერვო გუნდის შეხვედრებშიღა უშვებდა. მერედა ამით რა გამოდიოდა? ბევრი ცუდი რამ, მათ შორის კი ის, რომ საფრანგეთის ნაკრების თავკაცი ჟაკ სანტინი დაკურს ველარ და აღარ აკვირდებოდა — ევროპის ჩემპიონს რეზერვისტი არ სჭირდება.

და დაკური რომში წავიდა, ფაბიო კაპელოსთან, რომელმაც იგი მყისვე შეუწყვილა ბრაზილიელ ემერსონს.

„ჩემს თვითრწმენას ამან ახალი ბიძგი შესძინა. როდესაც გავიგე, რომ კაპელოს ვჭირდებოდი, გავმხნევდი, ხოლო იტალიაში ჩასვლისთანავე იშვიათი რამ მოხდა — პირველივე ვარჯიშის შემდეგ, „იუვენტუსთან" შეხვედრაში, ძირითადი შემადგენლობა მერგო. მას მერე კაპელო ყოველ შეხვედრაში მათამაშებს, რაც ჩემი დიდი მიზნის ასახდენად, საფრანგეთის ნაკრებში დასაბრუნებლად ძალიან მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, მომავალ სეზონშიც „რომას" ძირითადში ვიქნები" — თქვა დაკურმა.

უნდა ითქვას, რომ ნახევარმცველს მხოლოდ ბედმა თუ კაპელომ კი არ გაუღიმა, თავადაც გვარიანად გაისარჯა. „რომა", რომელიც მანამდე ცუდად თამაშობდა, მოგებებზე გადავიდა (თუმცა, ცხადია, იმას არ ვამტკიცებთ, რომ ეს მხოლოდ დაკურის დამსახურებაა), ორ თვეში სერია A-ში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და იტალიის თასის ფინალშიც გავიდა, სადაც „მილანს" უნდა შეხვდეს.

ცნობისთვის, ამასწინათ „რომამ" „მილანს" 2:1 მოუგო, ხოლო ის ერთი წაგებული თამაში რომ ვახსენეთ, „იუვენტუსთან" იყო.

დაკური: „კაპელო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მასთან ყოველი დღე გაკვეთილია. ის პირდაპირი და მკაცრია, მასთან ვერ იღლაბუცებ. „რომაში" ყველა მუშაობს, ყველა კონცენტრირებულია. აქ ვარჯიში და ოფიციალური თამაში არ განსხვავდება. ყოველი წვრთნა წარმოსახვითი მატჩია შესაბამისი დატვირთვით".

ერთი სიტყვით, გაირკვა, რომ „რომაში" ვარჯიში გაცილებით მძიმეა, ვიდრე დაკურის ყოფილ გუნდებში, „სტრასბურში", „ევერტონსა" და „ლანსში", აი, იტალიური ცხოვრება კი თურმე სხვა სტილისაა.

„ფეხბურთის და ცხოვრების სტილი აქ ძლიერ განსხვავდება. გუნდები უკიდურესად ორგანიზებული ჰყავთ, ტაქტიკურად სრულყოფილი — ინგლისში უბრალოდ უფრო სწრაფად თამაშობენ — ხალხი კი თბილია, ძალიან მეგობრული — ინგლისში უფრო ცივი ადამიანები ცხოვრობენ. განსხვავებაა ქომაგთა შორისაც. იტალიაში ფანები შენგან ბევრს ელიან, ინგლისში კი არ გბოჭავენ. იტალიელები ფეხბურთზე გიჟდებიან, ხოლო რომი მსოფლიოს ულამაზეს ქალაქთაგანია — ამბობს დაკური და ისევ ქომაგთა თემას უბრუნდება — აქ ყოველი თამაშის წინ ზეწოლას განიცდი, ხალხი სულ თვალწინ გიტრიალებს".

და იტრიალონ, დაკურს ეს უხარია, რადგან ის ყოველ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ხვდება.

„ჯადოსნურია მუდმივად თამაში. იმედი მაქვს, მომავალ სეზონშიც გამიმართლებს".

**კახუნა ძიძია**

Portugal 2003 UNDER-17 Championship

## ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი ფინალური ეტაპი

# პორტუგალია პორტუგალიამ გახსნა

გუშინწინდელ „სარბიელში" ვწერდით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი გაიმართება. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმაც ითამაშა და მეოთხედფინალშიც გავიდა, სადაც მომავალ ჩემპიონთან, შვეიცარიასთან 0:3 დამარცხდა.

ჩემპიონატი გუშინ დაიწყო. გახსნის მატჩში მასპინძელმა პორტუგალიამ დანიის ნაკრებს 3:2 მოუგო, ქვემოთ კი ტურნირის შესახებ მცირეოდენ ინფორმაციას მოგაწვდით.

ევროპის მეორე ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, პირველისგან განსხვავებით, 16-ის ნაცვლად 8 გუნდი თამაშობს. პორტუგალიაში სულ 144 ყმაწვილი ფეხბურთელია ჩასული, ხოლო ჩემპიონის ვინაობა 17 მაისს გაირკვევა. რვა გუნდს შორის ვერ მოხვდა ჩემპიონი შვეიცარია, რომელმაც კვალიფიკაცია ვერ გაიარა. შესარჩევი ჯგუფიდან, რომელშიც შვეიცარია თამაშობდა, ევროპის ჩემპიონატზე უნგრეთი გავიდა.

საერთოდ, რვა მონაწილიდან ხუთმა შარშანდელ ჩემპიონატზეც ითამაშა — დანიამ, უნგრეთმა, პორტუგალიამ, ინგლისმა და ესპანეთმა, ხოლო ავსტრია, იტალია და ისრაელი ახალწვეულები არიან.

თავად 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი კი მემკვიდრეა 16-წლამდელთა ჩემპიონატისა, რომელიც სხვადასხვა დროს, ახლანდელ მონაწილეთაგან ესპანეთს, პორტუგალიას და იტალიას მოუგიათ. აქვე დავძინოთ, რომ რვიდან მხოლოდ ორმა გუნდმა გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი ქულათა მაქსიმუმით — ესპანეთმა და ინგლისმა. ისინი, პორტუგალიასთან ერთად, ჩემპიონობის ფავორიტებადაც ითვლებიან.

**A ჯგუფი**

პორტუგალია 3:2 დანია
ავსტრია 1:0 უნგრეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ავსტრია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დანია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**B ჯგუფი**

ინგლისი 2:1 ისრაელი
ესპანეთი 2:0 იტალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ისრაელი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| იტალია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## ჩემპიონატის დებულება

*ტაიმები 40-წუთიანია*

*რვა გუნდი ორ ჯგუფში განაწილდა, რომელთაგან ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გადის. თუ ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ ჯგუფში რამდენიმე გუნდს თანაბარი ქულა დაუგროვდება, უპირატესობა შემდეგ კრიტერიუმებს ენიჭება:*

- *ურთიერთშეხვედრების შედეგებს;*
- *ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთეს შეფარდებას;*
- *ურთიერთშეხვედრებში მეტ გატანილ გოლს;*
- *ყველა მატჩის ჯამში ბურთების უკეთეს შეფარდებას;*
- *ყველა მატჩის ჯამში მეტ გატანილ გოლს;*
- *რეიტინგში უკეთეს ადგილს.*

*ნახევარფინალებში A ჯგუფის გამარჯვებული B ჯგუფის მეორეადგილოსანს და B ჯგუფის გამარჯვებული A ჯგუფის მეორეადგილოსანს ხვდებიან.*

*ნახევარფინალური მატჩების ფრედ დასრულების შემთხვევაში დამატებითი დრო არ ინიშნება და გამარჯვებული პენალტების სერიით ირკვევა.*

*მესამე ადგილისთვის მატჩში და ფინალში, ძირითადი დროს ფრედ დასრულების შემთხვევაში 10-10 წუთიანი დამატებითი ტაიმები ინიშნება, რომლებშიც „ვერცხლის გოლის" წესი მოქმედებს. თუ გამარჯვებული მაინც ვერ გამოვლინდა, პენალტების სერია დაინიშნება.*

## ჰოლანდია

**I დივიზიონი. გადადებული მატჩი**

**ბრედა 2:0 ზვოლე**

1:0, 2:0 ზლოტი (2, 78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 30 | 24 | 5 | 1 | 77:17 | 77 |
| აიაქსი | 30 | 22 | 5 | 3 | 82:29 | 71 |
| ფეიენოორდი | 30 | 22 | 4 | 4 | 80:35 | 70 |
| ვალვაიკი | 30 | 14 | 4 | 12 | 42:44 | 46 |
| ნაიმეგენი | 30 | 12 | 8 | 10 | 37:38 | 44 |
| უტრეხტი | 30 | 11 | 10 | 9 | 42:39 | 43 |
| ბრედა | 30 | 9 | 13 | 8 | 31:28 | 40 |
| როდა | 29 | 11 | 7 | 11 | 46:47 | 40 |
| ჰერენვენი | 30 | 10 | 8 | 12 | 52:51 | 38 |
| ტილბურგი | 30 | 10 | 8 | 12 | 43:44 | 38 |
| ალკმაარი | 30 | 10 | 8 | 12 | 43:61 | 38 |
| ტვენტე | 30 | 9 | 10 | 11 | 32:40 | 37 |
| როზენდალი | 30 | 10 | 6 | 14 | 32:43 | 36 |
| გრონინგენი | 29 | 6 | 10 | 13 | 25:36 | 28 |
| ზვოლე | 30 | 7 | 6 | 17 | 29:60 | 27 |
| ვიტესი | 30 | 6 | 8 | 16 | 30:46 | 26 |
| ექსელსიორი | 30 | 5 | 7 | 18 | 32:55 | 22 |
| გრააფსხაპი | 30 | 5 | 5 | 20 | 32:74 | 20 |

## შვედეთი

**V ტური**

**იურგორდენი 3:1 გიოტებორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| იურგორდენი | 5 | 4 | 0 | 1 | 13:1 | 12 |
| აიკ | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ჰალმსტადი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| იოსტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| იორებრო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ლანდსკრონა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| გიოტებორგი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 |
| სუნდსვალი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| მალმიო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ელფსბორგი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:11 | 5 |
| იორგრიტე | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ენკოპინგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## Copa Toyota Libertadores '2003

**ლიბერტადორესის თასი 2003**

**1/8 ფინალი. I მატჩი**

კრუზ ასული (მეძსიკა) 0:0 დეპორტივო კალი (კოლუმბია)

**1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი**

*ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია)* 0:1დ.დ.(პენ.4:2, 0:1) სერო პორტენო (პარაგვაი) (1:0)

0:1 ნუნიესი (53)

# ფიფამ რეალი გაწვნა

**ფიფამ** მეტად უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: მადრიდის „რეალმა" „კრუზეიროს", პსვ-ს, „ბარსელონასა" და „ინტერს" ფული უნდა გადაუხადოს. რამდენი? — 2 მილიონ 400 ათასი ევრო. რატომ? იმიტომ, რომ ზემოთჩამოთვლილ კლუბებს თურმე რონალდოს აღზრდა-განვითარებაში წვლილი მიუძღვით.

კი მაგრამ, ბრაზილიელი შარშან „ინტერიდან" „რეალში" ხომ ყოველგვარი სატრანსფერო წეს-კანონის დაცვით გადავიდაო? — იკითხავთ თქვენ და მართალიც ბრძანდებით. „სამეფო კლუბმა" მილანელებს რონალდოს სანაცვლოდ თანხა გადაუხადა „ინტერს", ხოლო „ბარსელონას", პსვ-სა და „კრუზეიროს" რაღა ესაქმებათ?

აღმოჩნდა, რომ „შავ-ლურჯებს" ფიფაში სარჩელი შეუტანიათ, სატრანსფერო თანხის გარდა კომპენსაცია გვეკუთვნის, ტრავმირებული ფეხბურთელი ჩვენს პურს ორი წლის მანძილზე მიირთმევდაო.

საკვირველია, მაგრამ ფიფელებმა ისიც კი დაადგინეს, რომელ გუნდს რამდენი ეკუთვნის რონალდოს აღზრდისთვის. მაგალითად, „ბარსელონას" რეალმა 2 მილიონ 400 ათასიდან 480 ათას 900 ევრო უნდა ჩაუთვალოს, ხოლო დანარჩენებს რამდენი ერგებათ, ფიფაში მალე დააკონკრეტებენ.

„სამეფო კარის" რეაქცია ჯერჯერობით უცნობია. ჩინოვნიკებმა კი დაადგინეს, მაგრამ „რეალი" გადამხდელია?

შეგახსენებთ, რომ რონალდოს წლიური ჯამაგირი მადრიდში 11 მილიონ 700 ათასი ევროა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# NANDROLONE
# ორი წელი დაისვენე, კარლოს

ბილბაოელი ნახევარმცველის, კარლოს გურპეგის საქმის გამოძიება, როგორც იქნა, დასრულდა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გურპეგის ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

შეგახსენებთ, რომ საქმე ფეხბურთელის მიერ ნანდროლინის მოხმარებას ეხება, რაშიც გურპერი ჯერ კიდევ შარშან პირველ სექტემბერს ამხილეს, პრიმერადივიზიონის პირველსავე ტურში. უფრო თუ დავკონკრეტდებით, ფეხბურთელს ორგანიზმში 19-ნორანდროსტერონის კვალი აღმოუჩინეს, რაც სტეროიდ ნანდროლინის მეტაბოლიტი გახლავთ.

იმ ამბებიდან 8 თვე გავიდა და კლუბიც და ფეხბურთელიც ჯიუტად უარყოფენ აკრძალული პრეპარატის გამოყენებას. „ატლეტიკში" ისიც თქვეს, გურპეგი ესტრემადურას უნივერსიტეტში გავაგზავნეთ გამოკვლევაზე, სადაც დაადგინეს, რომ ფეხბურთელს სისხლში ნანდროლინი ბუნებრივად აქვს, რის წინააღმდეგაც ვერაფერს გავაწყობთო.

მაგრამ ფედერაციამ, გადაწყვეტილებიდანაც ჩანს, არც კლუბის ირწმუნა და არც ესტრემადურას უნივერსიტეტის მეცნიერებისა.

„ატლეტიკი" ორწლიანი დისკვალიფიკაციის გასაჩივრებას აპირებს.

**გიორგი დარჯანია**



კარლოს გურპეგი

**პარაგვაელი** როკე სანტა კრუზისთვის სეზონი უკვე დასრულდა. მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელმა მუხლის ტრავმა ბუნდესლიგის ბოლო ტურის მატჩში „კაიზერსლაუტერნთან" მიიღო. სანტა კრუზი გერმანიის ჩემპიონატში დარჩენილ სამივე ტურის და ქვეყნის თასის ფინალურ შეხვედრებს გამოტოვებს.

## ფეხბურთის რუკასთან



**რუსული ფეხბურთის ფლაგმანი მოსკოვის „სპარტაკი" კვლავაც მეკარის ძიებაშია. სეზონის დაწყების წინ მოსკოველებმა კონტრაქტი გაუფორმეს მაროკოელ გოლკიპერს აბდელილა ბაგის. თუმც მან ოლეგ რომანცევის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა და მაროკოელიც გუნდიდან გაუშვეს. რუსებმა მეკარეს ბულგარეთში მიაგნეს — დიმიტარ ივანკოვი სოფიის „ლევსკის" ღირსებას იცავს. მისი თამაშის სანახავად „სპარტაკის" მესვეურნი კვირას ბულგარეთის ჩემპიონატის პრინციპულ მატჩს დაესწრებიან, „ლევსკი" სოფიურ დერბიში ცსკა-ს უმასპინძლებს.**

**გერმანელმა** ფორვარდმა ოლივერ ნოივილმა შესაძლოა, ახალი სეზონიდან ბერლინის „ჰერტას" მაისურა მოირგოს, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ნოივილის ამჟამინდელი კლუბი ლევერკუზენის „ბაიერი" ბუნდესლიგას დაემშვიდობება. ნოივილის თქმით, მას ძალიან არ ხიბლავს რანგით დაბალ ლიგაში თამაში.

**იტალიური „რომას" მწვრთნელი ახალი სეზონისთვის გუნდიდან მიმავალი ფრანჩესკო ანტონიოლის შემცვლელს ეძებს. ფაბიო კაპელო „ბარის" მიადგა, მსურს, თქვენი მეკარე, ფრანგი ჟან-ფრანსუა ჟილე ჩემს გუნდში ვიხილოო. იტალიურ პრესაში კი დაიწერა, თუ კაპელომ „ბარი" ჟილეს გაშვებაზე ვერ დაიყაბულა, „რომას" კარს „უდინეზეს" ახალგაზრდა მეკარე მორგან დე სანტისი დაიცავსო.**

**ფრანგული** ვებ-გვერდი www.sport24.com წერს, იტალიურმა „მილანმა" ესპანური „ბარსელონას" ორი ფეხბურთელისადმი გამოიჩინა ინტერესი. ისინი გაბრი გარსია და ტიაგო მოტა არიან. წლევანდელ სეზონში ორივემ ჩინებულად იბურთავაო. ინტერესი ინტერესად, მაგრამ ამგვარ ცნობას ვერც „მილანის" და ვერც „ბარსელონას" ოფიციალურ ვებგვერდებზე ვერ წააწყდებით.

**რუსი ფორვარდი დმიტრი სიჩოვი თავისი კლუბის, მარსელის „ოლიმპიკის" ექიმებს მიადგა, თავს კარგად ვერ ვგრძნობ და ეგებ მიმკურნალოთო. დასტაქრებმაც სიჩოვს ცუდი ამბავი აუწყეს, ტვინის შერყევა გაქვს იოლ ფორმეშიო. სავარაუდოდ, სიჩოვი საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩებში ვერ ითამაშებს.**

**იტალიური** „უდინეზეს" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ კლუბთან ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. უდინური გუნდის ხელმძღვანელობამ მწვრთნელის მოღვაწეობა დადებითად შეაფასა და სპალეტისაც ახალი ხელშეკრულება თავად შესთავაზა.

**რუმინეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ვიორელ მოლდოვანი ფრანგულ „ნანტში" თამაშობს, თუმც ახალი სეზონიდან კარიერის გაგრძელებას აშშ-ში ეშურება. მას ფრანგულ კლუბთან კონტრაქტ უმთავრდება და ამერიკული მეიჯორ სოკერ ლიგის გუნდ „ნიუ იორკ ნიუ ჯერსი მეტროსტარზშიც" თავისუფალი აგენტის სტატუსით სურს მოხვედრა. მოლდოვანმა „ნანტთან" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი თქვა, ასაკი მემატება, ჯანიც ძველებურად არ მომდევს და თავდასხმაშიც გრეგორი პუიოლს და მარამა ვაირუას კონკურენციას ვეღარ ვუწევო.**

**გერმანული** „შალკეს" ნახევარმცველმა იორგ ბიომემ კლუბთან ახალი კონტრაქტი 2006 წლის 30 ივნისამდე გააფორმა. მსოფლიოს 2002 წლის ვიცე-ჩემპიონმა „შალკეს" შეფობა მისთვის მისაღებ პირობებზეც დაითანხმა.



*გუშინ მადრიდის პოლიციამ „ბარახას" აეროპორტში ბრაზილიელი ფეხბურთელი ჯალმინია დააპატიმრა. გვარიანად გამომთვრალი ჯალმინია ესპანეთიდან ავსტრიაში ბრუნდებოდა და საბაჟოს მომსახურე პერსონალს სავიზო ფორმალობების მოგვარებისას აუშარდა.*

*ჯალმინია რომ „დეპორტივოში" თამაშობდა იცით, ავსტრიაში რატომაც ბრუნდებოდა, ესეც გეცოდინებათ, იგი ვენის „აუსტრიას" ფეხბურთელია. თუ რატომ გაიქაჩა ბრაზილიელი აეროპორტში, დეტალურად არაფერს იტყობინებიან.*

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | მიუნხენი-კოტბუსი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 002 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 003 | დორტმუნდი-ნიურნბერგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 004 | ჰერტა-ბაიერნი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 005 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.30 | 006 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 007 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 18.30 | 008 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | შალკე-ჰანოვერი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.30 | 010 | არმინია-ბოხუმი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 033 | ერფურტი-ბაიერნი(მ) | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 034 | ზაარბრიუკენი-უნტერჰახინგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.30 | 035 | შვაინფურტი-ლაუტერნი(მ) | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 17.30 | 036 | აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 17.30 | 037 | ფიულენდორფი-რეგენსბურგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 17.30 | 038 | დარმშტადი-ელვერსბერგი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 17.30 | 039 | აალენი-ოფენბახი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 040 | ზიგენი-კიკერსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 16.15 | 053 | ნოტინგემი-შეფილდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 21.30 | 054 | ვულვერჰემპტონი-რედინგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 055 | კარდიფი-ბრისტოლი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 056 | ოლდემი-ქუინს პარკი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 057 | ლინკოლნი-სკანთორპი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 058 | ბერი-ბორნმუთი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **იტალია. სერია "A". XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 059 | ბოლონია-ლაციო | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 18.00 | 060 | ბრეშა-მილანი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 18.00 | 061 | კომო-კიევო | 3,8 | 3,3 | 1,7 | 1,76 | 1,17 | 1,12 |
| 18.00 | 062 | ემპოლი-ატალანტა | 2,1 | 2,9 | 3,6 | 1,21 | 1,32 | 1,6 |
| 18.00 | 063 | ინტერი-პარმა | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 18.00 | 064 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 065 | იუვენტუსი-პერუჯა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 066 | პიაჩენცა-რეჯინა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 18.00 | 067 | რომა-ტორინო | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 18.00 | 068 | უდინეზე-მოდენა | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 106 | ატლეტიკო-ალავესი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 107 | უელვა-რეალი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 23.00 | 108 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.30 | 109 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 00.30 | 110 | მალიორკა-სოსიედადი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 111 | სელტა-რასინგი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 21.00 | 112 | მალაგა-დეპორტივო | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 22.00 | 113 | რაიო-ბეტისი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 114 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 115 | ვალენსია-ვილიარეალი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 24.00 | 116 | სევილია-ბარსელონა | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXV ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 21.30 | 117 | ალბასეტე-ტენერიფე | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |
| 21.30 | 118 | სპორტინგი-კომპოსტელა | 1,9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| 21.30 | 119 | სერესი-ოვიედო | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| 00.30 | 120 | ლას პალმასი-კორდობა | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 121 | ლეგანესი-ფეროლი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 15.00 | 122 | ნუმანსია-სარაგოსა | 3,1 | 2,8 | 2,4 | 1,47 | 1,35 | 1,29 |
| 21.00 | 123 | სალამანკა-ლევანტე | 2,8 | 2,6 | 2,8 | 1,34 | 1,39 | 1,34 |
| 21.00 | 124 | ტერასა-ეიბარი | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 21.00 | 125 | ეხიდო-მურსია | 3,0 | 2,7 | 2,5 | 1,42 | 1,36 | 1,29 |
| 21.00 | 126 | ელჩე-ხეტაფე | 2,1 | 2,8 | 3,8 | 1,19 | 1,35 | 1.61 |
| 22.00 | 127 | ბადახოსი-ალმერია | 2,3 | 2,8 | 3,3 | 1,26 | 1,35 | 1.51 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.15 | 128 | მონაკო-მონპელიე | 1,4 | 4,0 | 7.5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 129 | მონაკო-მონპელიე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 130 | სედანი-ბასტია | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 23.00 | 131 | ნანტი-გენგამი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 132 | ბორდო-ლე ავრი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.00 | 133 | ოსერი-ლილი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.00 | 134 | სოშო-მარსელი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1.29 | 1,42 |
| 23.00 | 135 | აიაჩო-ნიცა | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.00 | 136 | რენი-სტრასბური | 1,7 | 3,1 | 4,8 | 1,09 | 1,25 | 1.88 |
| 23.00 | 137 | ლანსი-ტრუა | 1,3 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,06 | 2,21 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 24.00 | 138 | ლიონი-პსჟ | 1.75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1.26 | 1,88 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 139 | მეცი-გრენობლი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 140 | მეცი-გრენობლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 141 | ტულუზი-გენიონი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1.19 | 2,57 |
| | 142 | ტულუზი-გენიონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 143 | ბოვე-კაენი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 144 | კრეტეი-ვალანსი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1.14 | 1,32 | 1,74 |
| 23.00 | 145 | ისტრი-რეიმსი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.00 | 146 | ლე მანი-კლერმონი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 147 | ლე მანი-კლერმონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 148 | ლორიანი-ამიენი | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 23.00 | 149 | ნიორი-შატორუ | 2,3 | 2,9 | 3,2 | 1,28 | 1,33 | 1,52 |
| 23.00 | 150 | სტ.ეტიენი-ლავალი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1.14 | 1,3 | 1,78 |
| 23.00 | 151 | ვასკეალი-ნანსი | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 164 | მადეირა-ალვერკა | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 19.00 | 165 | ნავალი-ავეში | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 19.00 | 166 | შავეში-კოვილია | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 19.00 | 167 | ფარენსე-ოვარენსე | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1.11 | 1,28 | 1.88 |
| 19.00 | 168 | სალგეიროში-რიო ავე | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.00 | 169 | ამადორა-მარკუ | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 19.00 | 170 | მაია-პენაფიელი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 171 | ფელგეირაში-პორტიმონენსე | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 197 | ლუვიე-შარლერუა | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 23.00 | 198 | ვესტერლო-ანტვერპენი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1.29 | 1,64 |
| 23.00 | 199 | სტ.ტრუიდენი-ლიერსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1.57 |
| 23.00 | 200 | სტანდარდი-გენკი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 201 | ბევერენი-მუსკრონი | 2,05 | 3,5 | 3,1 | 1.29 | 1,23 | 1,64 |
| 18.00 | 202 | ბეერსხოტი-მონსი | 1,95 | 3,4 | 3,4 | 1,23 | 1,23 | 1,7 |
| 23.00 | 203 | ლოკერენი-ბრიუგე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **პოლონეთი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 238 | გროცლინი-ვიძევი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 239 | გროცლინი-ვიძევი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 240 | ზაგლემბე-ლეხი | 1,85 | 3.2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.00 | 241 | რუხი-გარბარნია | 1,85 | 3,2 | 4.0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.30 | 242 | ვისლა-ოდრა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 243 | ლეგია-პლოცკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 244 | ლეგია-პლოცკი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 21.30 | 245 | გურნიკი-კატოვიცე | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **თურქეთი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 246 | ფენერბაჩე-ქოჯაელი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 247 | ადანა-ბეშიქთაში | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 248 | ანკარაგუჯუ-ტრაბზონი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1.27 | 1,64 |
| 18.30 | 249 | გაზიანთეფი-გიოზთეფე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 250 | დენიზლი-დიარბაქირი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1.24 | 1,76 |
| 18.30 | 251 | მალათია-ისთანბული | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 252 | [illegible]-ბურსა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.30 | 253 | [illegible]-სამსუნი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 21.00 | 254 | გოლთაიხარი-გენჩლერბირლიგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
|  |  | **დანია. XXVII ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **10 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 20.00 | 285 | ფარუმი-კოპენჰაგენი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
|  |  | **11 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.00 | 286 | კოგე-მიდტიულანდი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 18.00 | 287 | ოდენსე-ოლბორგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 288 | სილკებორგი-ესბიერგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.00 | 289 | ვიბორგი-აკადემიკი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 20.35 | 290 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
|  | 291 | ბრიონდბიუ-ორჰუსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 |  |  |  |
|  |  | **ავსტრია. XXXIII ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **10 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.30 | 292 | ბრეგენცი-ადმირა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 293 | პაშინგი-კერნტენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 294 | რაპიდი-რიდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 295 | ზალცბურგი-ავსტრია | 2.25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1.54 |
|  |  | **11 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.30 | 296 | გრაცერი-შტურმი | 2.25 | 3,2 | 3.0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  |  | **შვეიცარია. A ჯგუფი. X ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **8 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 22.30 | 297 | გრასჰოპერი-თუნი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | [illegible] | 3,33 |
|  | 298 | გრასჰოპერი-თუნი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 |  |  |  |
| 22.30 | 299 | იანგ ბოისი-ვილი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.15 | 300 | ბაზელი-ციურიხი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
|  | 301 | ბაზელი-ციურიხი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 |  |  |  |
| 23.15 | 302 | ქსამაქსი-სერვეტი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
|  |  | **დანია. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი.** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **8 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 21.30 | 349 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1.38 |
| 23.15 | 350 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
|  |  | **შვეიცარია. თასი. ფინალი.** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **11 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.00 | 351 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
|  |  | **ლიბერტადორესის თასი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **1/8 ფინალი. II ეტაპი** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **8 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 03.10 | 357 | კობრელოა-უნამ | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 05.40 | 358 | გრემიო-ოლიმპია | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2.75 |


სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, მას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.


## კროკოს ბიუროთა მისამართები

|  |  |  |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
|  | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
|  | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
|  | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
|  | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
|  | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
|  | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 |  |
|  | ჭავჭავაძის გამზირი № 41 |  |
|  | გამსახურდიას გამზირი № 3 |  |
|  | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 |  |
|  | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
|  | ხუდადოვის ქუჩა №4 |  |
|  | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი |  |
|  | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 |  |
|  | მელიქიშვილის ქუჩა №15 |  |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
|  | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 |  |
|  | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანების დასახლება |
|  | სტალინის ქუჩა №14 |  |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 |  |
|  | მარტავას ქუჩა №7 |  |
| რუსთავი | კოსტავას გამზირი №23 |  |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
|  | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
|  | ჯავახიშვილის ქუჩა №78 |  |
|  | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 |  |
|  | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
|  | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 |  |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 |  |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 |  |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 |  |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 |  |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 |  |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 |  |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 |  |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 |  |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 |  |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 |  |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 |  |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 |  |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია |  |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ |  |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46
(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iª კორპუსი

**კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გლადიატორები

**როცა** ანტიკური ოლიმპიური თამაშებისა და მისი მსგავსი ასპარეზობების პროგრამაზე საუბრობენ, ავტორები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რატომღაც არ იხსენიებენ იმ ფაქტს, რომ სარბიელზე გლადიატორებიც გამოდიოდნენ და სისხლისმღვრელ ბრძოლებს მართავდნენ. ის მემატიანენი, რომლებიც გლადიატორთა ბრძოლებს ახსენებენ, მის შესახებ მეტად ძუნწად მოგვითხრობენ. არადა, ფაქტი ფაქტად რჩება, გლადიატორები ოლიმპიურ სარბიელზე ამ თამაშების დაღმავლობის ხანაში გამოჩნდნენ, როცა რომის იმპერიამ საბერძნეთი დაიმორჩილა. ეს მოხდა ქრისტესშობამდე 146 წელს, რის მერეც დამარცხებულნი იძულებულნი შეიქნენ თავიანთი წმინდა ოლიმპიური ტრადიციების საწინააღმდეგოდ პანელინურ თამაშებზე რომაელებიც დაეშვათ.

ამ პერიოდიდან იწყება ოლიმპიური თამაშების დაღმასვლა. თუმცა, მის მიმართ კეთილგანწყობილნი იყვნენ რომის იმპერატორები: ავგუსტუსი, ტიბერიუსი, ნერონი, ადრიანე და სხვები, რომლებიც თავადაც მონაწილეობდნენ ოლიმპიურ თამაშებში. მეტიც, რომაელი იმპერატორები თავიანთი სამფლობელოს სხვადასხვა ქალაქში საკუთარი სახელების უკვდავყოფას ოლიმპიური და სხვა პანელინური თამაშების მსგავსი ასპარეზობების ორგანიზებით, მასში მონაწილეობით და გამარჯვებით ცდილობდნენ. მაგალითად, ოლიმპიურის მსგავსი თამაშები ტარდებოდა ალექსანდრიაში, ანაზარბოსში, ანტიოქიაში, ეფესში, მაგნეზიაში, ნეაპოლში, ნიცაში, პერგამოში, სმირნაში, სიდონში... თრაკიის ანალში და სიცილიურ ეთნაში გამართული ასპარეზობანი ნემეურ თამაშობებს მოგვაგონებდა, ანგორასა და სირაკუზაში გამართულ პაექრობებში ისთმიური სული იგრძნობოდა, მეგარაში, სიკიონში და თეოსში პითიური ტრადიციები გადაეტანათ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში იტალიის მრავალ ქალაქში ბერძნულის მსგავსი გიმნაზიებიც აიგო, ტანვარჯიშულ დარბაზებში კი სულ მეტ დროს ატარებდნენ რომაელი მოქალაქენი, მათ შორის თვით ციცერონიც.

ამაყი რომი, რომელიც მსოფლიო ბატონობისკენ მიილტვოდა და სხვათა ტერიტორიებს ერთი მეორის მიყოლებით იპყრობდა, ქედს იხრიდა ბერძნული კულტურის წინაშე, რომელსაც ბევრ რამეს დაესესხა, გადაიღო და შეისისხლხორცა. რომმა გადაიღო და გაითავისა ბერძენთა ღმერთების მთელი პანთეონი და მათ მხოლოდ სახელები შეუცვალა. ზევსი იუპიტერი გახდა, არესი — მარსი, აფროდიტე — ვენერა და ასე შემდეგ. რომაელებმა პლასტიკურ ხელოვნებაშიც ბერძნული ტრადიციები გაითავისეს, როცა მათი ბრწყინვალე ქანდაკებების ასევე დიდებული ასლები შექმნეს.

ჰორაციუსს მართლაც მოსწრებულად უთქვამს, დატყვევებულმა საბერძნეთმა თავისი უკულტურო დამპყრობი დაამარცხა-ო.

ეს, როგორც ვთქვით, რომში ოლიმპიურისა და სხვა პანელინური თამაშების მსგავსი ასპარეზობების დაფუძნებაშიც აისახა.

და მაინც, ამ თამაშობათა შინაარსი და როლი განსხვავებული იყო თუნდაც იმით, რომ ასპარეზობები პანელინური აღარ გახლდათ და ისინი მასპინძელი ქალაქის განსადიდებლად, იქაურ მმართველთა გულუხვობის სადემონსტრაციოდ და რომის იმპერიის ტრადიციებთან შესაბამისობაში ტარდებოდა. ყოველივე ამან განაპირობა რომში ეგზომ პოპულარული საცირკო სანახაობების, გლადიატორთა და მხეცთა ბრძოლების ამ ასპარეზობათა, მათ შორის ოლიმპიური თამაშების გასართობ პროგრამაში შეტანა.

გლადიატორთა ბრძოლებს საფუძველი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში, რომის მეზობელ ეტრუსკულ ქალაქებში ჩაეყარა. იქ ამგვარი ბრძოლების გამართვა დაკრძალვის წეს-ჩვეულების შემადგენელი ნაწილი იყო და მსხვერპლშეწირვის კულტს ემსახურებოდა. ჰიპოტეზის თანახმად, გლადიატორთა ბრძოლა რომაელებმა ეტრუსკებისგან გადაიღეს. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ რომში ასეთი ბრძოლა პირველად 264 წელს გაიმართა და მასში სამი წყვილი მონაწილეობდა.

გლადიატორობა ძველ რომშიც თავდაპირველად გარდაცვლილთათვის მსხვერპლშეწირვის კულტის შემადგენელი ნაწილი იყო. იგი დიდგვაროვანთა სულის მოსახსენებლად იმართებოდა და მას სამგლოვიარო თამაშობას უწოდებდნენ. დაკრძალვისადმი მიძღვნილი თამაშები კერძო ხასიათისა იყო. მერე, როცა ამგვარი ბრძოლებისადმი ინტერესი ძალზე გაიზარდა, იგი დაკრძალვის ცერემონიალს გამოეყო და ძალაუფლების მოპოვებისა თუ განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებად იქცა.

გლადიატორთა ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 105 წელს სახალხო სანახაობათა ნაწილად გამოცხადდა და მათი გამართვა მაგისტრატთა საზრუნავი გახდა. მათთან ერთად ასეთივე უფლება კერძო პირებსაც მიენიჭათ.

გლადიატორთა ბრძოლების გამართვას მათი ორგანიზატორებისთვის უდიდესი პოპულარობა მოჰქონდა. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობდა გლადიატორთა ბრძოლების ხშირად მოწყობას, რაც ძალაუფლების მოპოვებისა თუ განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებად იქცა. იულიუს კეისრის მოწინააღმდეგენი ჩიოდნენ, უკვე იმდენი გლადიატორია, რომ მათი წყალობით კეისარს მთელი სენატი შიშისგან დაზაფრული ჰყავსო.

სახელმწიფო მოღვაწენი გლადიატორთა ბრძოლების გამართვას თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდნენ. ამგვარი ბრძოლები საყვარელი სანახაობა გახდა უკვე არა მხოლოდ რომში, არამედ მთელი იმპერიის პროვინციულ ქალაქებშიც.

გლადიატორები იყვნენ სამხედრო ტყვეები, დამნაშავენი, მსჯავრდებულნი და უბრალოდ გატაცებული მოქალაქენი, რომელთა რიგები სულ უფრო ივსებოდა.

უნგრელი ავტორების ლასლო კუნისა და დრაგან იურეგდის მიხედვით ამას სამი სახის სასჯელი განაპირობებდა. ერთ შემთხვევაში განსასჯელი გამოცდილი გლადიატორის წინააღმდეგ გამოჰყავდათ. ბუნებრივია, გამარჯვებული მუდამ გამოცდილი გლადიატორი გამოდიოდა, რადგან იგი უზადოდ ფლობდა ფარიკაობის, თავდაცვისა და თავდასხმის ტექნიკას; მეორე შემთხვევაში ბესტიარიას, როგორც არენაზე მატადორის როლში გასულ განსასჯელს უწოდებდნენ, მრისხანე მხეცების, მათ შორის ლომების, ვეფხვების, ხარების პირისპირ უბრალო იარაღით ხელში აგდებდნენ, რათა სანახაობა რამდენადმე მაინც გაგრძელებულიყო; მესამე შემთხვევაში განსასჯელი გლადიატორთა სკოლაში ირიცხებოდა. დასჯის ამგვარი ფორმა უეჭველ სიკვდილს არ ნიშნავდა, რადგან განსაზღვრული რაოდენობის ბრძოლების მერე იგი ამგვარი ვალდებულებისგან თავისუფლდებოდა. მეტიც, თუ იგი მონა იყო, მონობისგანაც თავისუფლდებოდა და ამის ნიშნად ხის მახვილი გადაეცემოდა.

ასე იყო თუ ისე, გლადიატორთა ბრძოლა დიდად პოპულარული იყო. მოსახლეობას სისხლი და მწვავე განცდები სწყუროდა, რასაც ისინი იღებდნენ კიდეც.

თავდაპირველად გლადიატორთა ბრძოლები იმართებოდა კოლიზეუმში, რომლის ამფითეატრიც 50 000 კაცს იტევდა. კოლიზეუმის მერე აიგო მაქსიმუსის ცირკი, რომლის ტრიბუნებიც IV საუკუნეში უფრო გაიზარდა. რომაელმა არქიტექტორებმა გლადიატორებისთვის შექმნეს საგანგებო, მანამდე უცნობი ნაგებობა — ამფითეატრი. მსგავსი ნაგებობები გამოჩნდა არა მხოლოდ რომში, არამედ პომპეიში, კაპუში, ვერონაში, სირაკუზაში...

რომის იმპერიის ეპოქის დასაწყისში გლადიატორთა ბრძოლები ბერძნული წარმომავლობის ასპარეზობებმა და საცირკო სანახაობებმა შეავიწროვა, მერე კი კვლავ წინა პლანზე წამოიწია და ოლიმპიურ სარბიელზეც გამოჩნდა.

მხატვრები გლადიატორებს უკვდავყოფდნენ მოზაიკაში, ვაზებზე... რომში, ვილა ბორგეზეში ახლაც შეგიძლიათ ნახოთ მოზაიკაზე გამოსახული გლადიატორთა ბრძოლის სცენა. მსგავსი სცენების ნახვა შეიძლება მადრიდშიც, იატაკის მოზაიკაზე რომ აუსახავთ.

გლადიატორთა ბრძოლაში გამარჯვებულს ხშირად უძვირფასესი საჩუქრებით ავსებდნენ. თვით იმპერატორები ოქროს მონეტებით სავსე ძვირფას თასსაც არ იშურებდნენ, რითაც საზოგადოებაზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდნენ. მემატიანენი მოგვითხრობენ, რომ ამ მხრივ ყველას აჯობა ნერონმა, რომელმაც თავის ფავორიტ გლადიატორს სასახლე და ვეება მიწის ნაკვეთი აჩუქა.

ქალბატონები გლადიატორებში ვაჟკაცობის განსახიერებას ხედავდნენ. გლადიატორებისა შურდათ ამორძალებსაც, რომლებიც თავიანთ ყინს მამაკაცებთან შერეულ წყვილში ბრძოლით იკლავდნენ.

რაღა გასაკვირია, რომ თანდათან მატულობდა იმ სენატორთა და იმპერატორთა რაოდენობაც, რომლებიც გლადიატორთა როლში გამოდიოდნენ, მათ შორის: ნერონი, ტიციუსი, ადრიანი, კრაკალა, კომოდი...

დაჭრილ გლადიატორთა უმრავლესობას დაუნდობლად უსწრაფებდნენ სიცოცხლეს, რადგან იდეალური მამაკაცის პრესტიჟი ითხოვდა, რომ გამარჯვებულს ერთი ომახიანად შეეძახა, აჰა, მიიღეო და ამგვარი ყვირილის თანხლებით დამარცხებულისთვის მახვილი ჩაეცა. მერე სისხლით მორწყულ სარბიელზე ამფითეატრის მომსახურენი გამოდიოდნენ, გვამს თუ სულთმობრძავს შუბლში ჩაქუჩს ურტყამდნენ და როცა დარწმუნდებოდნენ, დამარცხებული გლადიატორი უკვე იმქვეყნად იყო, ცხედარს რკინის კაუჭებით სარბიელიდან მიათრევდნენ, სისხლიან ქვიშას კი სხვები აბრუნებდნენ და ახალი ბრძოლაც იწყებოდა.

იმ უმცირესობაში, რომლებიც გლადიატორთა ბრძოლებს გმობდნენ, იყო დიდი რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი და მოაზროვნე სენეკა. იგი ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე აღშფოთებული წერდა:

„აქ არავითარ გართობაზე არ შეიძლება საუბარი, აქ მხოლოდ ადამიანთა ხოცვა-ჟლეტაა. მათ არავითარი თავშესაფარი არა აქვთ. ისინი მთელ თავიანთ ძალას დარტყმაში აქსოვენ, და ამ დარტყმათაგან არცერთი არ იკარგება უკვალოდ... ისინი, რომლებიც ეს ესაა, სხვათა ბრძანებით კლავდნენ, ახლა თავადვე ვარდებიან სხვათა ხელში მოსაკლავად. გამარჯვებულს ცოცხლად მომავალ, ახალ მკვლელობამდე ტოვებენ. ყველა ამ უბედურ მოფარიკავეთ ერთი ბოლო აქვთ — სიკვდილი! ამ თამაშობებს თან ახლავს ცეცხლი და რკინა. და ეს გრძელდება მანამ, სანამ არენა დაცარიელდება.

„მოკალი, დაჩეხე, დაწვი!" „ის მახვილისკენ ასე ფრთხილად რატომ მირბის?" „ის რატომ კლავს ასე არადამაჯერებლად?" „ის ასე უხალისოდ რატომ კვდება?!"

მათ სარბიელზე მიერეკებოდნენ პანღურით, წიხლისკვრითა და სილის გარტყმით, რათა დაჭრილიყვნენ, ამასთან, ერთმანეთის დარტყმას ისინი შიშველი მკერდით უნდა შეგებებოდნენ".

**ავთანდილ გურასაშვილი**



ფრანგი ჟან-ლეონ ჟერომის 1872 წლის ნახატი — „ცერები დაშვებულია"



ადრიანე




ერთ-ერთი რომაული მოზაიკა, რომელზეც ასახულია გლადიატორთა ვარჯიში




გლადიატორთა ბრძოლის გამოსახულება ერთ-ერთ მადრიდულ მოზაიკაზე

# კაცი პასის მიმცემი უნდა იყო...

## ითამაშე და შფოთი და ტანჯვა თავისით გაივლის

კიდევ ერთი მოხუცი კალათბურთელი წავიდა...

ორიოდ კვირა გავიდა ქულების მეფის მაიკლ ჯორდანის (კიდევ ერთხელ) წასვლიდან და ახლა ნბა-ს პასების მეფე ჯონ სტოქტონიც გამოეთხოვა 41 წლის ასაკში, „იუტა ჯაზში" გატარებული 19 სრული სეზონის შემდეგ.

სანამ ჯანი მოსდევდა, თამაშობდა. „საკრამენტოსთან" წაგებული საპლეიოფო სერიის შემდეგ კი გუნდის ბოსებს უთხრა: „მე მგონი, დავამთავრე, წასვლის დრო დამიდგა" — და წავიდა.

„ჯონი სიკვდილამდე მეყვარება, მაგრამ როცა ეს თქვა, იქ რომ ვყოფილიყავი, მაგრად შევახურებდი. ის ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან ბევრს ჯობს" — თქვა კარლ მელოუნმა. სტოქტონი და მელოუნი ერთმანეთისთვის მარტო თანაგუნდელები არ იყვნენ. „იუტაში" გატარებულმა 18 ერთობლივმა წელიწადმა ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათის, ინტელექტის, მისწრაფებების, ზომისა თუ ფერის ადამიანი ერთ სხეულად აქცია. ისინი იდეალურად უგებდნენ ერთმანეთს მოძრაობაში და მის გარეთაც და თუკი ნბა-ში ოდესმე არსებობდა იდეალური წყვილი, აგერ, ბატონო. სტოქტონი აძლევდა პასს, მელოუნი აგდებდა. რა იოლია, არა? ვერასდროს გავიაზრებთ ბოლომდე, რამდენი შრომა დასჭირდათ ამათ, ვთქვათ, ჰაკიმ ოლაჯუონის და ჩარლზ ბარკლის „ჰიუსტონის" დასამარცხებლად და მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოსთან" ფინალში შებრძოლების უფლების მოსაპოვებლად.

ჯონ სტოქტონის მთავარი ნიჭი შრომის ნიჭი და დიდი ინტელექტია. „ახლა კი გამოჩნდება, რა შეგვიძლია მწვრთნელებს, უმისოდ როგორ ავაწყობთ საქმეს. ვფიქრობ, ჯონ სტოქტონი თავის საქმეში ყველა დროის საუკეთესო იყო. ის უთქმელად აკეთებდა იმას, რასაც მწვრთნელები მოთამაშეებს ვეუბნებით ხოლმე" — ყველაზე გონიერი შეგირდის წასვლით აშკარად გულდაწყვეტილია „იუტას" მწვრთნელი ჯერი სლოუნი.

ისე კი, სტოქტონს ნბა-ში ყველაზე ნაკლებად მიესადაგება სიტყვა — შეგირდი. შესაძლოა, ის შეგირდი 22-23 წლისა იყო, მერე კი სულ მალე ის ოსტატი გახდა, არა, პროფესორი გახდა.

*ორი დიდი რეკორდის ავტორ ჯონ სტოქტონს, ნბა-ს ყველა დროის საუკეთესო მეპასეს და ჩამჭრელს (1504 თამაშში 15806 პასი და 3265 ჩაჭრა) არ უყვარს თავის მიღწევებზე საუბარი. საერთოდაც სიტყვაძუნწია და არც 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მოუღია პირი, სადაც ის „ოცნების გუნდს" კაპიტნობდა და სიტყვის თქმა, სწორედაც, მართებდა.*

*ჟურნალ „ჰუპისთვის" მიცემულ ინტერვიუში, რომელიც მისთვის, ვგონებთ, ერთადერთი ვრცელი ინტერვიუა, სტოქტონმა თავს „ზედმეტი ლაპარაკის" ნება მისცა. მასში პასების მეფე თავის ცხოვრებისეულ და სათამაშო გამოცდილებაზე საუბრობს.*

**— შარშან თქვენ ნამდვილად გაგვაოცეთ. ნაკლებ დროს თამაშობდით, მაგრამ უფრო ეფექტური იყავით, აგდებდით სროლების 51,7 პროცენტს, რაც ფანტასტიკური შედეგია გამთამაშებლისთვის. ეს ალბათ საუკეთესო სეზონი იყო თქვენთვის. შემადგენლობით თქვენი გუნდი ნაკლებ ნიჭიერი იყო, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ თქვენი კარგი თამაშით „იუტა" მოსალოდნელზე წინ წავიდა. თავს როგორ აფასებთ, ასაკთან ერთად უკეთესი მოთამაშე ხდებით?**

— კარგი იქნებოდა, მართლა ეგრე ყოფილიყო. არის რაღაც, რასაც აკეთებდი 23 წლისა, ახლა კი ვეღარ აკეთებ. მეორე მხრივ, ამ 18-19 წლის განმავლობაში ბევრი ვისწავლე. კარგია, თუ ასაკში სხვაობას შეუმჩნეველს გახდი. უნდა ისროლო ისეთი ბურთი, რომლის ჩაგდების თავიც გაქვს. ახალგაზრდობაში კი ცდილობ იმას, რაც იქნებ არც შეგეძლოს, აკეთებ ბევრ სისულელეს. შემდეგ, დროთა განმავლობაში, სწავლობ საკუთარი შესაძლებლობების ფლობას და ხდები უკეთესი, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად შეიძლება არც იყო უკეთესი, ვიდრე ახალგაზრდობაში.

**— როგორ ფიქრობთ, გაქვთ თუ არა სხეულზე ძლიერი სული? თუ ერთი მეორისგან გამომდინარეობს? თქვენ ხომ 19 სეზონიდან 17 თამაშის გამოუტოვებლად, პრაქტიკულად უტრავმებოდ გაიარეთ.**

— ერთს გეტყვით, არ მიყვარს ყველაფრის ტრავმებზე გადაბრალება. ტრავმას ყველა იღებს. ჩემი აზრით, აუცილებელია, გქონდეს განწყობა. თავს ტრავმაზე ფიქრის უფლება არ უნდა მისცე, არ უნდა იბუზღუნო. როცა ასეთი განწყობა გაქვს, ბევრი რამ შეიძლება აირიდო.

**— ვინ ჩაგინერგათ ეს განწყობა, თუ ესეც თქვენი თანდაყოლილი ნიჭია?**

— ცხოვრებისეული პრინციპები, მგონი, მაინც ოჯახში განვივითარდა, ამ პრინციპებით გავიზარდე. ზუსტად ვერ გეტყვით, იქნებ მერეც გამიმყარდა ზოგი ჩვევა.

**— კარლ მელოუნიც თქვენსავით მყარი ფსიქიკის კაცია. ერთმანეთს რომ გადაეყარეთ, მაშინ ხომ არ დათქვით, რომ მუდამ ასეთები იქნებოდით?**

— რაღაც თვალსაზრისით ჩვენ ერთმანეთზე გარკვეულ ზეგავლენას ვახდენთ. ასე, მაგალითად: მე დარწმუნებული ვარ, სეზონისწინა საწვრთნელ ბანაკში ის კარგად მომზადებული მოვა და ეს მამხნევებს, ასევე მასაც. ასე რომ, ჩვენ ერთმანეთს, ასე ვთქვათ, ირიბად ვმუხტავთ.

**— თუ ცდილობთ, თქვენს ექვს შვილს იგივე პრინციპები ჩაუნერგოთ, რაც მშობლებისგან შეითვისეთ?**

— ცხადია, ვცდილობ. მაგალითად, არ ვაძლევ უფლებას, სკოლა რაიმე უმნიშვნელო მიზეზით გააცდინონ. როცა რაიმე გუნდს უერთდები, ხდები ამ გუნდის ნაწილი. კი ბატონო, თუ მართლა დაშავებული ხარ, შეგიძლია, გააცდინო თამაში ან ვარჯიში, რათა ტრავმა არ გაირთულო, მაგრამ იმის უფლება არ გაქვს, მცირე მიზეზების გამო იწუწუნო და გუნდს გამოაკლდე.

**— კიდევ რა ხერხებით ცდილობთ, ბავშვებში გუნდური სულისკვეთება აღზარდოთ?**

— ოჯახურ სადილზე არ ვაძლევ ხოლმე მაგიდის ცალ-ცალკე დატოვების უფლებას (იცინის).

**— რამდენად მძიმეა სეზონისწინა მზადებები?**

— რა გითხრათ, თქვენ ოდესმე გსმენიათ, ვინმეს ეთქვას — „80 პროცენტით მოვემზადე"? ყველა ამბობს, რომ ის 110 პროცენტით მზადაა სეზონისთვის. მე ვერ გეტყვით, ვინ როგორ ემზადება. მე პირადად, წლების განმავლობაში მამზადებდა გონზაგას (სტოქტონის უნივერსიტეტია) ფიზმომზადების მწვრთნელი სტივ დელონგი. ჩვენ თანდათან ვზრდიდით დატვირთვებს. ვარჩევდი თავს შრომას, რომ არ დავშავებულიყავი და შესანიშნავადაც ვემზადებოდი.

**— UCLA-ს (კალიფორნია - ლოს ანჯელესის უნივერსიტეტი) ყოფილმა მწვრთნელმა ჯონ ვუდენმა ერთხელ თქვა, სტოქტონი ნბა-ს ერთადერთი მოთამაშეა, ვის სანახავადაც ფულს გადავიხდიდიო. კალათბურთის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელის ეს სიტყვები თქვენთვის რას ნიშნავს?**

— ვუდენი წლების განმავლობაში კეთილგანწყობილი იყო ჩემს მიმართ. მისი დიდი მადლიერი ვარ. როცა ასეთი კაცი ასეთ რამეს ამბობს, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს შენთვის. კარგი იქნებოდა, უფრო ხშირი ურთიერთობა მქონოდა მასთან. რამდენჯერმე შევხვედრივარ და ამან მართლა ბევრი მომცა.

**— ბევრი ამბობს, რომ თამაშისას თქვენ ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებებს იღებთ. რას მოაქვს ეს — ვარჯიშს, განმეორებადობას, ფილმების ყურებას, თუ რას?**

— სხვათა შორის, მე ცუდი გადაწყვეტილებებიც მიმიღია. ძალიან ხშირადაც ვცდები, მაგრამ არ ვჩერდები, არ ვნებდები და აი, სულ ესაა. კი, ბატონო, როცა ასაკი გემატება, ხალხი გეუბნება, რომ აღარ ცდები, რომ ყველაფერს სწორად აკეთებ, მაგრამ ეს სიმართლე არაა. ყველაფერი, რაც შენ შეგიძლია, ისაა, რომ შეცდომას არ „გადაჰყვე" და შენი საქმე განაგრძო.

**— ბევრი თქვენი ყოფილი თანაგუნდელი, „იუტადან" წასვლის შემდეგ აშკარად უკლებდა. მე ამას იმით ვხსნი, რომ თქვენ მათ ეხმარებით უკეთეს კალათბურთელად გახდომაში. თქვენს გვერდით ისინი უფრო კარგები არიან. ეთანხმებით ამას?**

— ვფიქრობ, ეს სიმართლეა მხოლოდ რაღაც ძალიან ბევრის გათვალისწინებით. ზოგი მოთამაშე ამა თუ იმ გუნდის სათამაშო სისტემას კარგად ერგება მაინცდამაინც არა რომელიმე თანაგუნდელის გამო. შესაძლოა მოთამაშე მაინცდამაინც იმ ქალაქში გრძნობდეს თავს კარგად. შესაძლოა, ვინმე სწორედ იმ დროსაა კარგ ფორმაში... მიზეზი ძალიან ბევრი არსებობს. ასე რომ, გამოდის, მე სულაც არ ვმონაწილეობ მათ განვითარებაში, არა?

**— ჩვენ შევისწავლეთ ბოლო 19 ჩემპიონი გუნდი და თითქოს მივაგენით გამარჯვების რეცეპტს. ამ 19-დან 18 ჩემპიონს ჰყავდა მინიმუმ ოთხი მოთამაშე, რომლებიც სულ მცირე, სამი სეზონი ერთმანეთის გვერდით თამაშობდნენ. „იუტა ჯაზს" დიდი ხანია, ერთი შემადგენლობა ჰყავს...**

— დიახ, „იუტას" არ ჰქონია ტრიალა კარი, საიდან შემოსულიც შეიძლება ისევ გავარდეს, და, ვფიქრობ, ეს კარგია. მოხეტიალე ვარსკვლავების გუნდს ყოველთვის გაუჭირდება მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა. ისე, ამ ლიგაში მთავარი მაინც ნიჭიერებაა.

**— 1997 წლის დასავლეთის ფინალში თქვენ გადამწყვეტი სროლა ჩააგდეთ და ფინალშიც ასე გახვედით...**

— ეს იყო წლების განმავლობაში გაწეული შრომის საზღაური. ჩვენ „ჰიუსტონთან" ხშირად ვმარცხდებოდით და ბოლოს და ბოლოს ვაჯობეთ მათ.

**— ჯერი სლოუნზე რას გვეტყვით?**

— ჯერი დიდი მწვრთნელია... რაიმე განსაკუთრებულს ვერ ვიგონებ... ის ძალიან ბევრჯერ ისეთ ადგილას და დროს გადარჩენილა, მის ადგილზე სხვა ჩაიჭრებოდა. ამიტომაცაა ის ძალიან დიდი კაცი. არა მგონია, ის ამას აცნობიერებდეს.

**— თქვენ ძალიან ბევრის მასწავლებლად ჩაითვლებით. თავად კი ვინ გასწავლიდათ?**

— მე ბევრი ავიღე მეჯიქ ჯონსონისგან, რიკი გრინისგან, გას უილიამსისგან, დენის ჯონსონისგან. აგრეთვე სკოლაში თუ უნივერსიტეტში ბევრისგან შევითვისე რაღაც, ჩემი უფროსი ძმისგან. მაგრამ მე ვერ ვიტყვი, რომ ვიღაცას რაღაც ვასწავლე. თუ ვინმემ ჩემს ყურებაში რაღაც მისთვის ახალი იპოვა და მერე გააკეთა, ეს მე მასწავლებლად არ მხდის.

**— ნბა-ს ისტორიაში თქვენ ერთადერთი გამთამაშებელი ხართ, რომელიც 40-41 წლის ასაკშიც უძღვება თავის გუნდს. რით ხსნით ამას?**

— ალბათ იღბლიანი ვარ. თანაც მჯერა, რომ ტრავმის არიდება შესაძლებელია. ცხადია, ყველას ვერ აირიდებ, მაგრამ თუ სწორად ჭამ, სწორად გძინავს, ვარჯიშობ და თამაშს ყოველთვის მომზადებული ხვდები, ზოგიერთ ტრავმას გადაურჩები. მე იღბალი ვახსენე და ბევრი რამ ექიმებზე და მასაჟისტებზეცაა დამოკიდებული. მაგალითად, ჩემი მასაჟისტი, კრეიგ ბიუერი, ჩემთან ცხოვრობს. არა მგონია, მის გარეშე ამდენი მომეხერხებინა.

**— ჯორდანიც და მელოუნიც 40 წლისანი თამაშობენ უმაღლეს დონეზე. რა ხდება, ათლეტთა ახალი ჯიში წარმოიშვა?**

— არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია. მე რომ გავდივარ მოედანზე, ვცდილობ, ყოველთვის მზად ვიყო და მერეც ყველაფერი ამოვიღო, ბოლომდე მივუშვა ჩემი „ძაღლები".

**— „ძაღლებზე" გამახსენდა და, ეს „ძაღლები" თქვენ ხომ არ გიბრუნდებიან? როგორ იგერიებთ ეჭვებს?**

— ეჭვებმა შეიძლება ნებისმიერი შეჭამოს. ყოველ შემთხვევაში, მე სულ მქონდა ისინი, მათ წაიღეს მთელი ღამეები, დღეები, წლები...

**— და რას უშვრებით მათ? ჩვენც გვასწავლეთ.**

— საჭიროა, მხოლოდ ითამაშო. კვლავ და კვლავ გააკეთო შენი საქმე. თუ შენ საქმეს კარგად აკეთებ, შფოთი და ტანჯვა თავისით გაივლის.





**ჯონ ჰიუსტონ სტოქტონი**

**იუტა ჯაზი**

**გამთამაშებელი**

**სიმაღლე 185 სმ; წონა 80 კგ**

დაიბადა 1962 წლის 26 მარტს სპოკანში, ვაშინგტონის შტატში

1984 წელს დაამთავრა გონზაგას უნივერსიტეტი სპოკანში, იმავე წლის დრაფტზე მე-16 ნომრად აიყვანა „იუტა ჯაზმა", სადაც თამაშობდა 2003 წლის მაისამდე

**გუნდური მიღწევები**

1997 და 1998 წლებში „იუტას" დაეხმარა პლეი ოფის ფინალში გასვლაში; 1992 წლის ბარსელონის და 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი

**პირადი მიღწევები**

ნბა-ს რეკორდსმენი პასებში (15 806) და ჩაჭრებში (3 265); სარეკორდოდ ბევრ, 9 სეზონში ლიდერობდა მეპასეებში; ეკუთვნის ერთ სეზონში საშუალოდ გაკეთებული პასების რეკორდი — 14.5 (1990)

10-გზის ოლსტარელი; 1993 წელს კარლ მელოუნთან ერთად დასახელდა ოლ სტარის უძვირფასეს მოთამაშედ

ერთი და იგივე გუნდში ნბა-ში სარეკორდოდ დიდხანს, 19 წელიწადს თამაშობდა, ამდენივე სეზონის პლეი ოფში უთამაშია (ესეც რეკორდია)

ორჯერ (1994, 1995 წლებში) მოხვდა ნბა-ს პირველ ხუთეულში, 6-ჯერ მეორეში (1988, 89, 90, 92, 93, 96), 3-ჯერ მესამეში (1991, 97, 99)

1996 წელს ნბა-ს 50 წლისთავზე შეიყვანეს ლიგის ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშის სიაში

**ოჯახური მდგომარეობა:**

მეუღლე ნადა და 6 შვილი

**კარიერა სეზონების მიხედვით**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1984-85 | 82 | 18.2 | 5.1 | 1.3 | 5.6 |
| 1985-86 | 82 | 23.6 | 7.4 | 1.9 | 7.7 |
| 1986-87 | 82 | 22.7 | 8.2 | 2.2 | 7.9 |
| 1987-88 | 82 | 34.7 | 13.8 | 3.0 | 14.7 |
| 1988-89 | 82 | 38.7 | 13.6 | 3.2 | 17.1 |
| 1989-90 | 78 | 37.4 | 14.5 | 2.7 | 17.2 |
| 1990-91 | 82 | 37.8 | 14.2 | 2.9 | 17.2 |
| 1991-92 | 82 | 36.6 | 13.7 | 3.0 | 15.8 |
| 1992-93 | 82 | 34.9 | 12.0 | 2.4 | 15.1 |
| 1993-94 | 82 | 36.2 | 12.6 | 2.4 | 15.1 |
| 1994-95 | 82 | 35.0 | 12.3 | 2.4 | 14.7 |
| 1995-96 | 82 | 35.5 | 11.2 | 1.7 | 14.7 |
| 1996-97 | 82 | 35.3 | 10.5 | 2.2 | 14.4 |
| 1997-98 | 64 | 29.0 | 8.5 | 1.4 | 12.0 |
| 1998-99 | 50 | 28.2 | 7.5 | 1.6 | 11.1 |
| 1999-00 | 82 | 29.7 | 8.6 | 1.7 | 12.1 |
| 2000-01 | 82 | 29.2 | 8.7 | 1.6 | 11.5 |
| 2001-02 | 82 | 31.3 | 8.2 | 1.9 | 13.4 |
| 2002-03 | 82 | 27.7 | 7.7 | 1.7 | 10.8 |
| კარიერაში | 1504 | 31.8 | 10.5 | 2.2 | 13.1 |
| პლეი ოფში | 182 | 35.2 | 10.1 | 1.9 | 13.4 |

*პირველ სვეტში მოცემულია სეზონი, მეორეში — თამაში სეზონის განმავლობაში, მესამეში — წუთი საშუალოდ მატჩში, მეოთხეში — პასი საშუალოდ მატჩში, მეხუთეში — ჩაჭრა საშუალოდ მატჩში, მეექვსეში — ქულა საშუალოდ მატჩში*

NBA PLAY OFF მეორე წრე ოთხ მოგებამდე

# საქმე საქმეზე და... დალასი დალასლასებს

6 მაისი

## აღმოსავლეთი

### დეტროიტი 1:0 ფილადელფია

### დეტროიტი 98:87 ფილადელფია

**დეტროიტი:** ბილაფსი (24), ჰამილტონი (25), კარი (3), რობინსონი (11), ვოლესი (1 ქულა, 12 მოხსნა); ოქური (16), უილიამსონი (8), პრინსი (8), ეტკინსი (2), ბერი

**ფილადელფია:** სნოუ (5), აივერსონი (27), ვან ჰორნი (9), ტომასი (2), კოულმენი (21); ბაკნერი (11), მაკკი (8), ჰილი (4), სკინერი, უილიამსი, სალმონსი

მეოთხე მეოთხედი მთავრდებოდა, როცა „დეტროიტ პისტონზის" სათადარიგოთა სკამზე ლამის პანიკა ატყდა, ჩონსი ბილაფსმა კოჭი იღრძო და სხვისი დახმარებითღა მოახერხა მოედნის დატოვება. დეტროიტელებს იმ მატჩის დარდი არ ჰქონდათ, საკმაო ანგარიშით იგებდნენ. ისინი მომავალ თამაშებში უბილაფსოდ გასვლის პერსპექტივამ დაზაფრა.

„ძალიან შემეშინდა, მაშინვე ჩონსისთან მივირბინე და ვკითხე, თავს როგორ გრძნობ-მეთქი. გასახდელში რომ შევიყვანეთ, მაშინაც შევეხვეწე, რამე გვითხარი შეკაცო-მეთქი. საშინლად მწყუროდა, გამეგო, ყველაფერი რიგზე ჰქონდა თუ არა. რომ გავიგე, სერიოზული არაფერი სჭირდა, შვებით ამოვისუნთქე" — „დეტროტის" მსროლელსა და უკანა ხაზში ბილაფსის მეწყვილეს რიჩარდ ჰამილტონს, თავადაც ხედავთ, ძლივს გადაუტანია თანაგუნდელის გამოკლება.

ამ თამაშში კი ბილაფსმა მოასწრო თავისი საქმის გაკეთება. სანამ დაშავდებოდა, „ორლანდოსთან" სერიის გმირმა 24 ქულა ჩაუგდო ალენ აივერსონის გუნდს და „დეტროიტის" პირველ გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი. აგრეთვე მისი ნაწილობრივი დამსახურებაა, ალენ აივერსონმა მხოლოდ 27 ქულით რომ დაასრულა მატჩი. დეტროიტელები, რაღა თქმა უნდა, ვერ დაიტრაბახებენ, რომ „ფილადელფიის" ლიდერი ბოლომდე გამოაკლეს ბრძოლას, მაგრამ სამაგიეროდ, შესამჩნევად შეზღუდეს და „სიქსერზის" ჭინკა ბომბარდირს თამაშიდან მხოლოდ 8 ბურთის ჩაგდების ნება დართეს.

საერთოდაც დაცვაში მთელი „დეტროიტი" ირჯებოდა სანაქებოდ. შეტევაში კი საქმეს ბილაფსი, ჰამილტონი და აგრეთვე თურქი ახალბედა მეჰმეთ ოქური აგვარებდნენ. „პისტონზიც" პირველი ტაიმის შემდეგ 9 ქულით დაწინაურდა და თამაშის ბოლომდე მდევრად ამყოფა სტუმარი.

## დასავლეთი

### დალასი 0:1 საკრამენტო

### დალასი 113:124 საკრამენტო

**დალასი:** ნეში (20), ფინლი (20), ნახერა (8), ნოვიცკი (18 ქულა, 11 მოხსნა), ლაფრენცი (2); ვან ექსელი (20), აბდულ-ვაჰადი (10), ბელი (7), უილიამსი (4), ბრედლი (2), გრიფინი (2)

**საკრამენტო:** ბიბი (7), კრისტი (13), სტოიაკოვიჩი (26), ვებერი (24), დივაცი (14); ბ. ჯეკსონი (23), კლერკი (11), ჯ. ჯეკსონი (3), თურქოღლუ (2), ფანდერბურკი (1), პოლარდი, ვოლესი

გასარკვევი პირველ ექვს წუთში გაირკვა. „დალასმა" დებიუტშივე დაალო პირი და მთელი 48 წუთი ვერ მოვიდა აზრზე.

„საკრამენტომ" აგრესიულად დაიწყო და რამდენიმე წუთში ყველანაირი ბურთი ჩაუგდო „დალასს". დალასელებმა არ იცოდნენ, ვისგან დაეცვათ თავი, მეფეთა ხუთივე მოთამაშე ბომბავდა მათ კალათს, თვით დუგ კრისტიც კი, ვინც უფრო დაცვაშია დახელოვნებული და ბურთის ჩაგდება სხვა თანაგუნდელებივით არ ემარჯვება. დალასელები განსაკუთრებით იმან დააბნია, რომ კნაჭა და დაბალმა კრისტიმ ცენტრობა ითავა და ფარქვეშიდან მიჰყო ხელი მასპინძელთა კალათის რბევას, ხოლო ბულასავით თავდამსხმელმა კრის ვებერმა პერიმეტრზე აიწია და დაბალი თანაგუნდელების პასებით მომარაგება წამოიწყო.

ვებერს 9 პასი მოუგროვდა, კრისტის 9 მოხსნა, ხოლო მათი „საკრამენტო" პირველ წუთებში 15:2 დაწინაურდა, ტაიმი 12 ქულით მოიგო, სამი მეოთხედის შემდეგ კი 22 ქულით ლიდერობდა.

„საკრამენტოს" „დალასის" ქომაგებიც დაეხმარნენ, რომ ნახეს, სტვენის ღირსები არიანო, 20 ათასმა დალასელმა ისე უსტვინა საკუთარ გუნდს, „საკრამენტოს" მოწონებული. „ჩვენ გამართული გეგმა გვქონდა ამ თამაშისთვის, მაგრამ მათ ყველაფერი დაგვინგრიეს. ის მანუგეშებს, რომ ისინი ამაზე უკეთ ვერ ითამაშებენ, ჩვენ კი დაუსრულებლად შეგვიძლია მომატება" — „დალასის" მწვრთნელი დონ ნელსონი ვითომ იხტიბარს არ იტეხს და იქით უტევს გამარჯვებულ „საკრამენტოს", მაგრამ მხოლოდ ენის ტრიალით „მეფეებს" ყურებზე ხახვს ვერ დააჭრის. მას ჯერაც დასამტკიცებელი აქვს, რომ „საკრამენტოზე" უკეთესი გუნდიააშენა. თავად კი ამბობს ამას, მაგრამ ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს. „დალასმა" შარშანდელ პლეი ოფში 1:4 წააგო „საკრამენტოსთან", წლეულსაც რეგულარული სეზონის ოთხი თამაშის ჩათვლით ხუთ შეხვედრაში აგერ, მეოთხედ დამარცხდა.

**კოტე ყორშია**

საქართველოს 12 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი. ნახევარფინალი ორ მოგებამდე

# ბასკომ სტუ-ჯეოსელი გათიშა

7 მაისი. ბათუმი

**ბასკო 91:59 სტუ**

24:16, 24:14, 30:7, 13:22

**ბასკო:** ცინცაძე (4), კეშელავა (16), კეიდია (6), როდუმტა (9), შენგელია (11); ბაბიაშვილი (20), ნიკოლაძე (9), ქარაბაკი (11), წონელია (5)

**სტუ-ჯეოსელი:** ტუღუში (14), ხეცურიანი (18), ლოსაბერიძე (6), ტუჯანი (1), მუშკუდიანი (3); ოთიურიძე (8), დავითულიანი, მარხვაშვილი (2), გაგნიძე (7), ნოზაძე, ლაფანაშვილი

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

გუშინ ბათუმში პლეი ოფის ნახევარფინალურ სერიაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გუნდები, რომლებსაც წლეულს ურთიერთშეხვედრებში თანაბარი ბალანსი გააჩნდათ. „ბასკომაც" და „სტუ-ჯეოსელმა" ორ-ორი მატჩი მოიგეს, თანაც ამათგან თითო-თითო სტუმრად.

ამიტომაც იყო, ბევრი საკმაოდ დაძაბულ და საინტერესო მატჩს რომ ელოდა. თუმცა მომლოდინეთ არ გაუმართლათ. ზღვისპირელებმა იმდენად იოლად იმარჯვეს, პლეი ოფი კი არა, აუტსაიდერთან რიგითი მატჩი გეგონებოდათ. ნუგზარ კანდელაკმა თავის კოლეგას და სეხნიას, ნუგზარ ჭეიშვილს აშკარად აჯობა. ტაქტიკურ ჭიდილში, უპირველესად კი დაცვაში უკეთ თამაშმა, რამაც გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

ორივე გუნდმა ნერვიულად დაიწყო და ერთი ხანობა ზუსტად ვერავინ ისროლა. პირველად ბათუმელმა როდუმტამ იყოჩაღა და ჩატენვით დააწინაურა მასპინძლები. სტუდენტებმა უმალ უპასუხეს და ექსბასკოელმა მუშკუდიანმა ანგარიში გაათანაბრა. იქვე კეშელავამ სამი საჯარიმო ჩააგდო, რასაც სტუდენტი ტუღუშის ზუსტი სამიანი მოჰყვა.

ამის შემდეგ სტუმართ ანგარიშის გათანაბრების, ან მით უმეტეს, წინ გასვლის ბედნიერება არ ღირსებიათ. „ბასკომ" გეგმაზომიერად დაიწყო წინსვლა, რაც უპირველესად ფარზე გაბატონებამ მოიტანა. შენგელიამ, როდუმტამ და ქარაბაკმა მეურვეები აშკარად დაჩაგრეს და პირველი მეოთხედის შუისთვის სხვაობა 7 ქულამდე გაზარდეს — 15:8.

ქარაბაკის აქტიურობამ სტუმრები მალე ათი ქულით ჩამოარჩინა. ლოსაბერიძის სამქულიანმა სიტუაცია დროებით განმუხტა, თუმცა სტუ-მ დარჩენილ წუთებში მეტი ვერ შეძლო. მეტოქეებმა სროლები გაცვალეს და პირველი მეოთხედი „ბასკომ" 24:16 მოიგო.

გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე მეოთხედი. კვლავ ნაყოფიერად გაისარჯა შენგელია, რომელიც ფარზე დომინირებდა. სტუმართაგან მხოლოდ ხეცურიანი არ ცხრებოდა, რომლის შორეულმა სროლებმა მოჩვენებითი წინააღმდეგობის ფონი შეუნარჩუნა თამაშს.

ამასობაში შენგელიასთან პაექრობაში მესამე პერსონალური ჯერ მუშკუდიანმა მიიღო, შემდეგ კი ოთიურიძემაც. „სტუ-ჯეოსელმა" ამ სიტუაციიდან გამოძრომა შორეული ტყორცნებით სცადა და მეოთხედის დასრულებამდე სამი წუთით ადრე სხვაობაც ხუთ ქულამდე შეამცირა.

თუმცა ტაიმის ბოლო წუთებში „ბასკომ" კვლავ გაილალა და შენგელიას, კეშელავასა და ბაბიაშვილის მეოხებით პირველი ნახევარი 48:30 მოიგო. მეორე მეოთხედის ბოლო ორ წუთში სტუმრებმა მხოლოდ სამი ქულა მოაქუჩეს და ყველა კომპონენტში ჩამოუვარდნენ მეტოქეს.

მესამე მეოთხედი უკვე მასპინძელთა სრულ უპირატესობაში ჩაილია. დროის ამ მონაკვეთში ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა მხოლოდ 7 ქულა დასტყუეს ბათუმელებს და ისიც ვეტერანი ოთიურიძის აქტიურობის წყალობით. ეს რა ბედენა იყო ზღვისპირელთა მონაგართან, მარტო ბაბიაშვილმა 11 ქულა „გაჩარხა", მას არც სხვები ჩამორჩნენ და მესამე მეოთხედის ბოლოს ქულათა კატასტროფული სხვაობა დაფიქსირდა — 78:37.

თამაში მოთავებული იყო და ბოლო მეოთხედში „ბასკო" ოდნავ მოეშვა. სტუმრებმა თითქოს შეირგეს მასპინძელთა წყალობა და სხვაობის გვარიანად შემცირება მოახერხეს. თუმცა მათი თავგამოდება აშკარად დაგვიანებული იყო. „სტუ-ჯეოსელი" მაინც განადგურდა — 59:91.

„ბასკომ" საკმაოდ იოლი მოგება მიითვალა და სერიაშიც დაწინაურდა. წინ თბილისური შეხვედრაა, სადაც ზღვისპირელები ასე იოლად ალბათ ვერ გაისეირნებენ. და მაინც, 32-ქულიანმა მარცხმა სტუ-ს ბევრი წაართვა. სტუდენტებს, შესაძლოა, მაინც შერჩათ ფინალში თამაშის სურვილი, თუმც რა გითხრათ... ერთი სადღეგრძელო გვაგონდება, სადაც სურვილებისა და შესაძლებლობების შესაბამისობაზეა საუბარი.



ბათუმელმა ირაკლი კეიდიამ ქოლივეტ ტუჯანის არ დააფარებინა

## რაგბი

*გუშინ სასტუმრო „მარიოტის" საპრესკონფერენციო დარბაზში დიდი სტუმრიანობა იყო. იქ იყვნენ პარლამენტარები, საფრანგეთის საელჩოსა და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლები. თავშეყრის მიზეზი 27-30 ივნისს თბილისში გასამართი შვიდკაცა რაგბის ერთ-ერთი ევროპული ეტაპი იყო. ამ შეჯიბრს ევროპის რაგბის ასოციაცია (AER) ატარებს*



ზაზა ქასაშვილი

# ქართული შვიდკაცა ფრანგული ვახშმით

**გუშინ** ამ ეტაპის პრეზენტაცია გაიმართა. ქართული ხალხური მელოდიების თანხლებით ეკრანზე საქართველოს შვიდკაცა ნაკრების მატჩების ეპიზოდები გვანახეს, შემდეგ კი პრესკონფერენციაც მოეწყო, რომელსაც, ცხადია, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და ვიცე-პრეზიდენტი, ჩვენში შვიდკაცა რაგბის კურატორი, საფრანგეთში მოსაქმიანე ზაზა ქასაშვილიც დაესწრნენ. ქასაშვილი ამ სამდღიანი ტურნირის ერთ-ერთი დირექტორია. შეჯიბრის ორგანიზატორი და მთავარი დირექტორი კი ფრანგი ალან მაიოა. სანამ მასთან ინტერვიუს წაიკითხავდეთ, მანამდე პრესკონფერენციაზე თქმულს გთავაზობთ.

**ზაზა ქასაშვილი:** ამას წინათ ავსტრალიაში ვიყავი და ძალიან გამიკვირდა, რომ იქ კარგად იცნობენ საქართველოს შვიდკაცა ნაკრებს, რომელიც საუკეთესო ათ გუნდში მოიხსენიება. ავსტრალიაში ყოფნისას დაიბადა იდეა, თბილისში ჩატარდეს შვიდკაცა რაგბის ევროპის ერთ-ერთი ეტაპი, რომლის პროექტის ერთ-ერთი ავტორი მეც ვარ.

**ალან მაიო:** მსოფლიოში სპორტის რამდენიმე სახეობის ეტაპები ტარდება. ვიფიქრე, რატომ არ შეიძლება, ისეთ მშვენიერ ქალაქში, როგორიც თბილისია, შვიდკაცა რაგბის ერთ-ერთი პრესტიჟული ეტაპი ჩატარდეს. საბედნიეროდ, წამოწყება საქმედ იქცა და ივნისში, თბილისში, დიდი სარაგბო ზეიმი იქნება. დიდებთან ერთად მოეწყობა თორმეტწლამდელ ბავშვთა ტურნირი. გარდა ამისა, ჩვენი დიდი სურვილი იყო, რომ აზერბაიჯანის ნაკრებსაც ეთამაშა ევროპულ ეტაპზე, მაგრამ მათ ადმინისტრაციული პრობლემები შეექმნათ და ეს ვერ მოხერხდა.

**ქასაშვილი:** აზერბაიჯანის ნაკრებს უნდოდა, რომ ევროპულ ზონაში ეთამაშა, მაგრამ მათ უარი უთხრეს. ამიტომ გადავწყვიტეთ, პარალელურად მოვაწყოთ შავი ზღვის ქვეყნების ექვსგუნდა ტურნირი, რომელშიც თურქეთის ნაკრებიც ითამაშებს.

***პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ფრანგული ვახშამი მოეწყო. ალან მაიოს ამ დროს გავესაუბრეთ...***

**— საქართველოს რაგბის კავშირს როგორ დაუკავშირდით?**

— ჩემი მეუღლე საქართველოში საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელია. მეც ჩამოვყევი მეუღლეს და კარგა ხანია, თბილისში ვცხოვრობ. მომწონს თბილისი და საქართველო. რაგბის აქ დიდი პერსპექტივები აქვს. მე მიყვარს ეს თამაში და გადავწყვიტე, რაიმეთი დავხმარებოდით. შვიდკაცა რაგბი ავირჩიე. საფრანგეთის საელჩოს დახმარებით დავუკავშირდი საქართველოს რაგბის კავშირს, საფრანგეთში მცხოვრები ზაზა ქასაშვილი გავიცანი. მას შევთავაზე, თბილისში მოგვეწყო შვიდკაცა რაგბის ერთ-ერთი ეტაპი და თანხმობა მივიღე. დანარჩენი მარიფათის და ორგანიზაციული ნიჭის ამბავი იყო.

**— აქამდე რაგბისთან რა შეხება გქონდათ?**

— მორაგბე ვიყავი და სპორტის ეს სახეობა ჩემთვის ლვიძლია. რამდენიმე ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ყველგან ვცდილობ, სარაგბო ამბებში ჩავერთო.

**— ტურნირის მთავარი დირექტორი ბრძანდებით, გაქვთ საამისო გამოცდილება?**

— რა თქმა უნდა, თორემ ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებდი. მე რამდენიმე ფრანგული კლუბის ხელმძღვანელობაში მიმუშავია, სადაც საორგანიზაციო საკითხებს ვაგვარებდი. ასე რომ, შეჯიბრის ბოსად მუშაობა ჩემთვის უცხო არ არის.

**— ევროპული ეტაპები ევროპის რაგბის ასოციაციის ეგიდით ტარდება. თქვენ თუ გაქვთ რაიმე შეხება ამ ორგანიზაციასთან?**

— არა, არანაირი.

**— ტურნირის ბოსად როგორ დაინიშნეთ?**

— ეს მასპინძელი ქვეყნის პრეროგატივაა. საქართველოს რაგბის კავშირმა ასე გადაწყვიტა. საწინააღმდეგო არაფერი მქონია, პირიქით გამიხარდა.

**— შვიდკაცა რაგბი კომერციული ტურნირია. როგორ ფიქრობთ, საქართველოში არის იმის პირობები და ეკონომიკური სიტუაცია, რომ რაგბის ეს სახეობა განვითარდეს?**

— ჩვენ უკვე მოვიზიდეთ სპონსორები. ტურნირის ბიუჯეტი სამოცდაათი ათასი დოლარია. მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე ფრანგულ და გერმანულ ტელეარხებთან. ამ ტურნირით დაინტერესდა ისეთი პოპულარული არხი, როგორიც „ევროსპორტია". შვიდკაცა ძალიან დინამიკური თამაშია და, ვფიქრობ, ქართველი გულშემატკივარიც დაინტერესდება და ნელ-ნელა პოპულარულიც გახდება. ასე, რომ მგონი, არჩევანში არ შევმცდარვართ.

**ბაჩო სვანიძე**

# ალალს ყველაფერს გაუმარჯოს! ამბიციასაც

## ფერეროსა და ფედერერს აგასობა და ჰიუიტობა უნდათ

**TELECOM ITALIA MASTERS ROMA**
**რომი. თიხნარი**
**საპრიზო 2,45 მილიონი ევრო**

### პირველი წრე

**ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6 (7:3), 6:4; **კარლოს მოია** (3, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 6:4; **როჯერ ფედერერი** (4, შვეიცარია) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 6:3, 7:5; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (9, ტაილანდი) 6:1, 6:2; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (13, საფრანგეთი) 6:7 (4:7), 6:4, 6:3; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — გუსტავო კუერტენი (14, ბრაზილია) 6:3, 2:6, 6:4; **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) — იუნეს ელ აინაუი (16, მაროკო) 6:1, 1:6, 6:4; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 6:2; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 4:6, 7:6 (7:3), 6:3; **ალექს კორეჩა** (ესპანეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:2; **რაემონ სლოიტერი** (ჰოლანდია) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 6:4, 4:6, 6:2; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:4, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:1, 6:1

წინა დღეს გავარდნილი ანდრე აგასის კვალს მიჰყვა ტურნირის 1999 წლის ჩემპიონი და მომდევნო ორი წლის ფინალისტი გუსტავო კუერტენიც.

სამგზის მეროლანგაროსე უებრო ბრაზილიელი, ვინაც შარშან ბარძაყზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ვერ იქნა და საზეო ფორმა ეგრეც ვერ დაიბრუნა, არგენტინელ გაუდიოს შემოემარცხა.

მათი წინა სამი მატჩიდან ორში კუერტენს ემარჯვა, ერთი კი — მალიორკულ თიხნარზე — არგენტინელმა მოიგო. მალიორკული მატჩი მათი ერთადერთი აქამომდელი თიხნარშეხლა გახლდათ და, ეგებ გახსოვდეთ, იმ ტურნირზე გაუდიომ ტიტულის მოხვეჭაც მოახერხა...

კუერტენი: „ეს დაძაბული მატჩი იყო. მე თავდაჯერებულობა მაკლდა და ამიტომაც დავმარცხდი. რამდენიმე საუცხოო შანსი ვერ გამოვიყენე. უფრო თავდაჯერებულად რომ მეთამაშა, ეგეთ შანსებს არ გავუშვებდი. საერთოდ, კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ, შემიძლია, მეტ დატვირთვებსაც გავუძლო. მაგრამ უკვე თვენახევარია, კვირაში, ჰა-ჰა, ორი მატჩი ვითამაშო. სწორედ ეგ უთამაშებლობაა, საკუთარ ძალებში რწმენას რომ მიკარგავს. მოკლედ მანკიერ წრეში ვარ — თუ ვერ ვთამაშობ, რწმენა არა მაქვს, რწმენა თუ არ მაქვს — ვერ ვთამაშობ. აზრზე არა ვარ რა მეშველება."

გუგასგან განსხვავებით თვითრწმენისა და თავდაჯერებულობის ამბავში ყველაფერი ხუთიანზე აქვთ ხუან კარლოს ფერეროსა და კარლოს მოიას.

პირველმა სეტისწაუგებლად სძლია ჯიშად მებალახსაფრე მარკ ფილიპუსისს და წლეულს საერთოდ ნათამაშებ 36-ე შეხვედრაში 30-ე გამარჯვება მიითვალა, რაიც იმავდროულად მის მე-19 საამსეზონო თიხნარმატჩში მე-18 მოგება გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ კოლობიჭმა ამ სეზონში ორი — მონტეკარლოური და ვალენსიური — ტიტული უკვე მოიჭირნახულა და თუკი რომშიც ყველაფერი ალჩუზე დაუჯდა, იქ 2001 წელს მონაგრულ ჯილდოს ხელახლა მოინაგრავს.

„ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი კვირაა — ამბობდა ნამატჩევს ფერერო — რეიტინგსიის კენწეროში სიმჭიდროვეა. აგასი უკვე გავარდა, ჰიუიტი საერთოდ არ ჩამოსულა. ასე რომ, შანსი მაქვს, ქულები დავაგროვო და დავეწიო."

ვინმეს თუ არ გახსოვთ, ბარემ ამასაც გეტყვით — 23 წლის ვალენსიელი მსოფლიო რეიტინგსიაში ახლა მესამე საფეხურზე დგას და სწორედ მხოლოდ ანდრე აგასისა და ლეიტონ ჰიუიტს ჩამორჩება.

მეორე წრეში ფერერო თავისზე ექვსი წლით უფროს სახელიან თვისტომს, რომაული მასტერსტურნირის 1997 წლის ჩემპიონსა და 17-გზის მეტიტულე ალექს კორეჩას შეეხლება. აქამდე მათ ოთხჯერ უთამაშიათ და ფერეროს წინაალმდეგ გამოცდილი ესპანელი მხოლოდ ერთ გამარჯვებას მოიძევს.

თუკი მის წლევანდელ ვაინაჩრობას გავითვალისწინებთ — და მან წლეულს მხოლოდ ერთ, სკოტსდეილურ მეოთხედფინალში ითამაშა — მაშინ ფერეროსთან მისი მომავალი განდაგანის შედეგი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ახლა მოიას რაც შეეხება.

ორი კვირის წინ ბარსელონაში, ხოლო ორი თვის წინ ბუენოს აირესში ნაჩემპიონარი მოია ასევე სეტისწაუგებლად გაუსწორდა უსახელო თვისტომ ფერნანდო ვისენტეს. აღსანიშნავია, რომ მისი საამსეზონო თიხნარმონაგარი ფერეროსაზე არანაკლებ შთამბეჭდავია — ოცი გამარჯვება ორი მარცხის წილ. ეგებ გახსოვდეთ, შარშან მოია სეზონის უჩაუქესი მეთიხნარეც გახლა. თიხამიწაზე გამართული 41 მატჩიდან მან 34-ის მოგება შეძლო.

სხვაფრივ — ფერეროსა და მოიას დარად ზორბა და დამთრგუნველ ფორმაშია შვეიცარიელი როჯერ ფედერერიც, ორივე რეიტინგსიის მეხუთეადგილოსანი. ფედერერმა იმ დღეს ფრანგი პოლ-ანრი მათიო მოთელა, ვინაც შარშანდელი დევისფინალის პარიზულ ფინალში რუს იუჟნისთან რომ ჩაისვარა, მას შემდეგ ჩვენი კლავიატურის არეში ვგონებ პირველად მოექცა.

ფედერერმა წლეულს უკვე სამი (მარსელური, დუბაური და მიუნხენური) ტიტული მოირეწა და ესპანელთა შემდეგ რომაული თიხნარის უმთავრეს ამაოხრებლად მოიაზრება.

ნამატჩევს მან ბევრი და სიამოვნებით ილაპარაკა: „ჩემი თამაში ბევრს უყვარს, რადგანაც ხალისიანად და გრძნობით ვთამაშობ. ხან ვახუჭუჭებ, ხან ვჭრი, ხან ბადესთან მივრბივარ. ჩემი სტილი ყოვლისმომცველია. სამწუხაროდ, ასევე ბევრს ეს არ ესმის. მათ ჰიუიტისნაირი გაუტეხელი, უმყარესი ფსიქიკის მქონე მეჩოგნეები ხიბლავთ... ძალიან ბევრი უნდა ვიმუშავო, რათა დასახულ მიზნებს ხორცი შევასხა. თქვენ იცით, ჩემი უზენაესი ოცნება რეიტინგსიის სათავემდე აღზევებაა."

დღის დანარჩენი მატჩებიდან გამორჩევას იმსახურებს ფედერერისგან მიუნხენურ ფინალში ძლეული ფინელის, იარკო ნიემინენის მიერ მეცხრე ნომრად განთესილი პარადორნ შრიჩაფანის გაფარჩაკება.

შრიჩაფანს თიხნარის დიდი სიყვარული რომ არ მოსდგამს, ეგ არახალი ამბავია. პიტალო აზიელი უფრო მაგარსაფარზე ბუქნაობას რჩეობს. ამიტომაც არის, ბოლო ოთხ ტურნირზე მეორე წრის მიღმა წამლადაც რომ ვერ გადააბოტა. ნიემინენი კი წლეულს სწორედ თიხნარკორტებზე ათამაშდა — მონტეკარლოსა და ბარსელონაში მხოლოდ მეოთხედფინალის პარმალთან შეაყოვნეს, მიუნხენურ ფინალამდე კი ისე იომა, ერთი სეტიც არ დაუთმია. ერთი სიტყვით, მის მიერ პარადორნის გაბუნძულება დასტურ კანონზომიერ შედეგად მოგვევლინა.

და კიდევ — წლის პირველი თიხნარჩოგნაობა ყელზე დაადგა ფრანგ სებასტიან გროჟანს, ხოლო არგენტინელმა აგუსტინ კალერიმ წლეულს თავისი 25-ე თითხნარმატჩი მე-19 თიხნარგამარჯვებით გაისრულა.

**MASTERCARD GERMAN OPEN**
**ბერლინი. თიხნარი**
**საპრიზო 1,242 მილიონი $**

### პირველი წრე

**დენიზა ჰლადკოვა** (ჩეხეთი) — მაგდალენა მალეევა (11, ბულგარეთი) 6:7 (1:7), 6:1, 6:4; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — ანგელიკა ბახმანი (გერმანია) 6:2, 6:2; **მეგან შონესი** (14, აშშ) — ივა მაიოლი (ხორვატია) 7:6 (7:3), 3:6, 6:4; **პატი შნიდერი** (15, შვეიცარია) — ელს კალენსი (ბელგია) 2:6, 6:4, 6:3; **ანა პისტოლეზი** (16, ისრაელი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:1, 6:1; **მარლენ ვაინგარტნერი** (გერმანია) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:2, 7:5

### მეორე წრე

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (3, ბელგია) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:1; **მაგი სერნა** (ესპანეთი) — ჩანდა რუბინი (6, აშშ) 7:5, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (7, სლოვაკეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:3, 4:6, 6:3

შარშანდელ ფინალში სერენა უილიამსის გამბაზებელმა ენენ-არდენმა ტიტულის დაცვა ჩეხ ბედანოვაზე იოლი გასეირნებით დაიწყო. 20 წლის ციდა ბელგოგომ თავისკბილა, ოღონდ რანგით 44-ე მეტოქეს საათსა და 14 წუთში გადაურბინა.

წაიფორხილა რეიტინგსიის მერვეადგილოსანმა და ბერლინში მეექვსე ნომრად განთესილმა ჩანდა რუბინმა, ვინაც იმ დღეს სიმაღლით თითქმის მიხხელამ, სიღრმე-სიგანით კი კაი ორჯერ-სამჯერ მასზე მსუყე მაგი სერნამ აჯობა.

უბუთხუზესი მაგი ამ ბოლო დროს საარაკოდ ბურთაობს და უკანასკნელ 17 მატჩში, რომელთაგან ყველა თიხნარზე გამართა, უკვე მეთექვსმეტედ იხეირა. ამ 16-გამარჯვებიან სერიაში — ეგებ მადლიერ მკითხველსაც ახსოვდეს — მან ეშტორილისა და ბუდაპეშტის ტურნირებზე გაპირველებაც მოახერხა.

ერთადერთი საბოლოოთვეებო მარცხი მას წინა კვირაში ელენა დოკიჩმა აგემა.

**ლევან ძელაურაძე**



მაგი სერნა



**მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი**
**26 აპრილი — 11 მაისი**



REUTERS ფოტო

უკრაინელმა სერგეი ხარჩენკომ ავსტრიელთა მეკარე კლაუს დალპიაცი კარში არ დააყენა

# რუსებს მადლობა წამოსცდათ

**კურტ ლინდსტრიომი** თანამემამულეებმა დაალალატეს. ლატვიის ნაკრების შვედი თავკაცი იმედოვნებდა, რომ მისი ქვეყნის ნაკრები ერთ ქულას მაინც დაკარგავდა შვეიცარიასთან და უნდა ითქვას, რომ 44-ე წუთამდე ეს რეალურიც ჩანდა. ანგარიში 2:2 გახდა და შვედები, მიუხედავად მონდომებისა, ლარს ვაიზელის კარს ვერაფერს უხერხებდნენ, მაგრამ ბოლოს მიკა ჰანულამ მაინც დააწინაურა თავისიანები, ხოლო 3 წუთის შემდეგ ვიკინგების კაპიტანმა იორგენ იუნსონმა ლატვიელთა ოცნება საბოლოოდ გააქარწყლა. ასე რომ, რუსული პრესის ოხვრა-წუწუნი, როდის იყო, უცხოელები ხელს გვიმართავდნენო, ამაო გამოდგა. შვედებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ალალად თამაშობენ და წინასწარი გარიგებები და ცუღლუტობა მათთვის უცხოა. შვედებმა შვეიცარიასთან მატჩი ისე ჩაატარეს, როგორც პროფესიონალთა ეკადრებათ (შემადგენლობაში 12 ნჰლ-ელი ტყუილად ხომ არ ჰყავთ). ისე, შვეიცარიელების საქმე მაშინ წახდა, როცა დასაწყისშივე, წუთნახევრის განმავლობაში მარტინ პლიუსმა ორჯერ გაიტანა და თავისიანები დააწინაურა. ფრეს კიდევ რა უჭირს, მაგრამ წაგება ნამეტანიაო, იფიქრეს ალბათ შვედებმა და დაიქოქნენ. რით დასრულდა ეს ყოველივე, უკვე იცით.

რაც შეეხება ლატვიელებს, მათ თავიანთი წილი საკეთებელი ნამუსიანად გააკეთეს. თუმცა დანიელებმა დიდი ნებისყოფა გამოიჩინეს და მეტოქე საკმაოდ გააწვალეს. ბალტიისპირელებმა გამარჯვების გოლი 41-ე წუთზე გაიტანეს გრიგორის პანტელეევსის ძალისხმევით.

ასე გაირკვა მეოთხედფინალისტთა ვინაობა. შვედებმა მაინც ვერ აარიდეს თავი ფინელებთან თამაშს, თუმცა მასპინძლები ამ ტურნირზე საკმაოდ ფერმკრთალად გამოიყურებიან. აქამდე კლასით დაბლა მდგომ გუნდებს მაინც უმკლავდებოდნენ, მაგრამ სამშაბათს გერმანიაც კი ვერ დაამარცხეს. ასე რომ, ამ წყვილში ვის უფრო უნდა ეშინოდეს, საკითხავია.

რუსებს კი გაუმართლათ და თან როგორ, გავარდნასაც გადაურჩნენ და თან მეთხედფინალში ჩეხებს დაეჯახნენ. რომელი სასიამოვნო მეტოქე ჩეხეთიაო, იკითხავთ და მართალიც იქნებით, მაგრამ ბოლო 10 ურთიერთშეხვედრიდან რუსებმა 9 მოიგეს, მათ შორის ოლიმპიადასა და ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზეც გადაულობეს გზა. თუმც ისიც უნდა ვთქვათ, რომ წლეულს ჩეხების ახალმა თავკაცმა სლოვიმირ ლენერმა სერიოზული ცვლილებები შეიტანა ნაკრების მრავალწლიან ტაქტიკაში და ამ ჩემპიონატში მისმა შეგირდებმა თვალსასეირო, აგრესიული, შემტევი ჰოკეი აჩვენეს და ბევრი ქომაგიც შეიძინეს.

უნდა ითქვას, რომ, წინა დღისგან განსხვავებით, ამჯერად რუსეთის სპორტულ გამოცემებში დაბეჭდილი მიმოხილვები ნორმალური ტონით გამოირჩევა. შვედური სიტყვა TACKSAMYCKET-იც (მადლობა) გამოიყენეს და ნაკრების შანსები ჩეხებთან ფხიზლად შეაფასეს.

რაც შეეხება დანარჩენ ორ წყვილს, აქ თითქოს გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევს. სლოვაკებმა და კანადელებმა თავ-თავიანთ ჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს და საჩუქრად ყველაზე იოლი მეტოქეები მიიღეს — შვეიცარია და გერმანია. თუმც ვინ იცის, ამ პირველობამ იმდენი სიურპრიზი შემოგვთავაზა, აღარაფერი გაგვიკვირდება.

**სამველ ლარიბიანი**

*ბომბარდირები: პალფი 14(7+7), შტუმპელი (ორივე სლოვაკეთი) 13(3+10), სტრაკა (ჩეხეთი) 10(6+4), ვისნოვსკი (სლოვაკეთი) 9(4+5), სელიანე 8(5+3), რონტანენი (ორივე ფინეთი) და ნადი (სლოვაკეთი) 8(4+4), კოივუ (ფინეთი) 8(1+7), ზედნიკი (სლოვაკეთი) 7(5+2)*

**E ჯგუფი**

**უკრაინა 2:5 ავსტრია**
**ფინეთი 2:2 გერმანია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 4 | 1 | 0 | 27:9 | 9 |
| ჩეხეთი | 4 | 1 | 0 | 22:7 | 9 |
| ფინეთი | 2 | 1 | 2 | 18:10 | 5 |
| გერმანია | 2 | 1 | 2 | 11:11 | 5 |
| ავსტრია | 1 | 0 | 4 | 9:27 | 5 |
| უკრაინა | 0 | 0 | 5 | 8:31 | 0 |

**F ჯგუფი**

**ლატვია 4:2 დანია**
**შვედეთი 5:2 შვეიცარია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 4 | 1 | 0 | 18:6 | 9 |
| შვედეთი | 4 | 0 | 1 | 20:9 | 8 |
| რუსეთი | 2 | 0 | 3 | 16:14 | 4 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 3 | 14:16 | 4 |
| ლატვია | 2 | 0 | 3 | 10:16 | 4 |
| დანია | 0 | 1 | 4 | 8:25 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## ნახევარფინალი. პირველი მატჩი

# კალაძეს გული ერჩოდა...

**მილანი 0:0 ინტერი**

მილანი: დიდა, კოსტაკურტა, ნესტა, მალდინი, კალაძე, ბროკი (სერჯინიო 73), გატუზო (რედონდო 78), ზეედორფი, რუი კოშტა, შევჩენკო (რივალდო 81), ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ინტერი: ტოლდო, კორდობა, მატერაცი, კანავარო, კოკო (პასკუალე 84), ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, ს. კონსეისაუ (გულიელმინპიეტრო 66), ემრე, კრესპო, რეკობა (კალონი 72)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
80 000 მაყურებელი

*საპასუხო მატჩი გაიმართება 13 მაისს*

პირველი რეაქცია, რაც მილანურ დერბის მოჰყვა, ის იყო, რომ „მილანმა“ ვერ მოიგო — „ინტერმა“ არ წააგო კი არა, „მილანმა“ ვერ მოიგო. აქედანაც ჩანს, თუ ვინ ითვლებოდა ფავორიტად და არცთუ უსაფუძვლოდ — რაც „ინტერის“ მწვრთნელად ექტორ რაულ კუპერი დაინიშნა, ოთხ მილანურ დერბიში სამჯერ „მილანს“ მოეგო და ეს მიუხედავად იმისა, რომ სერია A-ს ამ ორ სეზონში სატურნირო ცხრილში „ინტერი“ ჯობნის თანაქალაქელს. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გუშინდელი ფრე მაინც უფრო „მილანის“ წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან საპასუხო მატჩი გოლიანი ფრით თუ დამთავრდა, ფინალში კახა კალაძის გუნდი გადის, ანუ სხვა სიტყვებით, მთავარია, „მილანმა“ არ წააგოს და ჩემპიონთა ლიგის ფინალში პირველი ქართველიც ითამაშებს.

კახა კალაძე ვახსენეთ და თამაშის მოკლე გარჩევაც მისით დავიწყოთ. აქ ერთი მომენტიცაა — ჩვენი ყურადღება უპირველესად მისკენ იყო მიპყრობილი და შეცდომები რომ დაეშვა, არ გამოგვეპარებოდა.

კალაძემ კი უშეცდომოდ ითამაშა, მისი ფლანგიდან მეტოქეს შეტევა უჭირდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ კალაძეს „მილანის“ იერიშებშიც ევალებოდა ჩაბმა და მატჩი თუ ნახეთ, დაგვეთანხმებით — მისი პასები მუდამ ამწვავებდა თამაშს და „მილანის“, ფაქტობრივად, ერთადერთი უნაღდესი საგოლე მომენტიც ქართველის მონდომებით შეიქმნა. ნამატჩევს კალაძემ თავად თქვა, კუპერმა მეორე ტაიმში გული მგონი იმიტომ შემოიყვანა, ჩემი შეტევაში ჩაბმისთვის ხელი შეეშალაო.

სხვა მხრივ კი, უპირატესობის მიუხედავად, ფრანჩესკო ტოლდოს კარს განსაკუთრებული საფრთხე არც დამუქრებია, უფრო პირიქით იყო — „ინტერს“ ცოტა მომენტები ჰქონდა, მაგრამ შედარებით მწვავე. გასახსენებელია ალვარო რეკობას ორი გარღვევა, რომლებიც ისევ ურუგვაელის აჩქარებით და უზუსტობით ვერ იქცა გოლებად.

გამართლდა ტოლდოს მატჩისწინა სიტყვებიც, ვინძლო კარგი თამაში გამოვიდეს, ოღონდ სანახაობრიობას ძალიანაც არ უნდა გამოვედევნოთ, თორემ ვაითუ, ძვირად დაგვიჯდესო. ჰოდა, გუშინდელი დერბიც, რიგით 254-ე სანახაობრივად დიდი ვერაფერი ბედენა იყო, სამაგიეროდ, სწორი და უშეცდომოდ თამაშის მაგალითად კი გამოდგებოდა.



ფრანჩესკო ტოლდომ „ინტერის“ კარი ფეხითაც დაიცვა

REUTERS



კახა კალაძე მილანელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო

REUTERS



არსენალი — საუთჰემპტონი. ლონდონელთა 6 გოლიდან ტიერი ანრის (№14) არც ერთი არ იყო

REUTERS

### ინგლისი
**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

არსენალი 6:1 საუთჰემპტონი

### შოტლანდია
**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

მაზერუელი 0:4 სელტიკი

### საბერძნეთი
**თასის 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი**

პაოკ 1:1 აეკ (1:0)

### ჩეხეთი
**თასის 1/2 ფინალი**

ზლინი 1:1დ.დ. (პენ.4:5, 1:1) *იაბლონეცი*

ბუდეიოვიცე 0:0 (პენ.4:5) *ტეპლიცე*

### პოლონეთი
**თასის ფინალი. პირველი მატჩი**

ვისლა 0:1 პლოცკი

## ჰოკეი

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი
**26 აპრილი - 11 მაისი**

მეოთხედფინალი

სლოვაკეთი 3:1 შვეიცარია

კანადა 3:2დ.დ (2:2) გერმანია

ჩეხეთი 3:0 რუსეთი

შვედეთი 6:5 ფინეთი

# ფეხბურთი ბაღდადში

რაც ომი დამთავრდა, ბაღდადში პირველად გაიმართა საფეხბურთო მატჩი. ჯერჯერობით ამხანაგური, მაგრამ მაინც. ალ ზავრის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „ალ ზავრი“ და ბაღდადის პოლიციის გუნდი. ამბობენ, იმ კვირიდან ჩემპიონატიც განახლდება.


REUTERS ბაღდადიდან


REUTERS ბრიჯტაუნიდან

# ყველის რბოლები

ამერიკაში, რიჩმონდის ჯანთქმული რბოლებია გახურებული — „პონტიაკ ექსაითმენთ 400“. და ამ რბოლის პრომოუშენის ერთ-ერთ ხერხად მის თაყვანცებს ყველის კონცერნ „ქებოთ ქრიმერსთან“ ურთიერთობა დაუსახავთ. ორ მოქანდაკეს, ჯიმ სკანელსა და ჯიმ ვიქტორს, ჩედერის ყველისგან ნამდვილი ზომისა და იერის სარბოლო მანქანა გამოუთლიათ. ამ საქმეზე 3900 გირვანქა ყველი დახარჯულა.


REUTERS რიჩმონდიდან

# დამთავრდა

ავსტრალიის მოკრიკეტეთა ნაკრებმა წარმატებით მოვლო ვესტ ინდოეთი, ოთხტესტა სერიიდან სამი მოუგო მასპინძლებს, ვესტ ინდოეთის გასაგიჟებელ ქალაქებში მოგზაურობით გული მოიჯერა და ეს ამბავი ნორჩებსაც დაამახსოვრა. ბოლო დღეს, ბარბადოსის ქალაქ ბრიჯტაუნში ავსტრალიელები თანხლებულ ოჯახებსაც მიუბრუნდნენ. დარენ ლემანი თავის ტყუპებს ეთანსა და ემის ეთამაშებოდა, ადამ ჯილკრისტი კი თავის ვაჟ ჰარისონს. ასეა ხოლმე, როცა ტესტი დასრულდება, მოიგებ და ხარობ.



REUTERS ბრიჯტაუნიდან

# ის დაბრუნდა


REUTERS ნიუპორტიდან

როგორც იქნა, გმირი დაბრუნდა. მარტოყაცთა გარსაქვეყნო ნაოსნობის გამარჯვებული „ფრიდომ ამერიკას“ შკიპერი რუდ ვან ლიუ უკვე როდ აილენდზეა და ცოლის, მიგანის მონატრებით დამდნარა. რუდმა 2800 მილი იცურა დედამიწის გარშემო და ბოლო 16 წელიწადში პირველი ამერიკელია, ეს შეჯიბრი რომ მოიგო და საერთოდაც პირველი ზღვაოსანია, მარტოყაცური ცურვის ხუთივე ეტაპზე რომ იმარჯვა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge